საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 24-25 მარტი. 2021 წ. №61-62 (9180-9181) | ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ვკითხულობთ, ვითმენთ და... ვინელებთ!..

6 7

ქართული ენის სიწმინდისთვის ბრძოლა საუკუნის წინანდელ საქართველოში

თითქოს დღეს ეთქვას!

ქვეყანას გზასა და კვალს უბნევენ!



დღეს ჩვენში ქვეყნის ორგულადა და მოღალატედ დასახვასა და დასახელებას ბევრი არა უნდა რა, საკმაოა მხოლოდ უტიფრადა და ურცხვად სხვის გულში ბატონურად ხელის ფათური და უსაფუძვლო მოსაზრება: ეს ჯილდოს ელის, ის გიჟია, ამას ლამაზი ცოლი ჰყავს, იმან სხვაგან ისადილაო და სხვანი... სამწუხარო ის არის, რომ ამ „ოქოქანანთ ქორობას“ ჩვენში ჟურნალ-გაზეთები მხარს უჭერენ და ქვეყანას გზასა და კვალს უბნევენ. ხალხს მტყუან-მართალი ვეღარ დაუნახავს და ნამდვილი მოჩვენებითისგან ვეღარ განურჩევია. ჟურნალ-გაზეთები ხელში ვეღარ აგვიღია შიშით!.. სულ კერძოობა, სულ პირადობა, წვრილმანი ანგარიშები და ურცხვთავხედობა... და ნეტავ, როდის მოეღება ბოლო ამ სნეულებას?!

აკაკი. 1901 წლის მარტი.
„ივერია“, „საჭირო შენიშვნა“

კარვებით, სასტვენებით და შეშით სირბილით თანამედროვე პოლიტიკა უკვე ვეღარ კეთდება

3

ირაკლი გოგავა:

სავარაუდოდ, გარე ძალების გავლენით მოხდა ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებში „დამპალი თესლის“ ჩაგდება

8



ტიკარაძე საჩხერეში „ასტრაზენეკას“ ვაქცინით აიცრა

ჯანდაცვის მინისტრი კორონავირუსის ვაქცინით საჯაროდ აიცრა. ეკატერინე ტიკარაძემ „ასტრაზენეკას“ ვაქცინა საჩხერის სამედიცინო ცენტრში გაიკეთა.

თემის გაგრძელება
იხ. 4 გვ.

ამირან სალუქვაძე:

რატომ ატყუებს ოპოზიცია საქართველოს მოსახლეობას?!

2

ოთარ ხუციშვილი:

იყიდე ჭკუა და იცხოვრე ბედნიერად

11

კახაბერ საბანაძემ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა დატოვა

კახაბერ საბანაძემ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა დატოვა და ამის შესახებ სოციალურ ქსელში დაწერა:

„მსურს, გამოვეხმაურო ბოლო პერიოდში მედიაში გასულ სიუჟეტებს და ხაზგასმით აღვნიშნო, რომ წლების განმავლობაში ვემსახურებოდი სახელმწიფოს და ვიცავდი კანონს, რომლის ზედმიწევნით აღსრულებაც იყო, არის და იქნება ჩემთვის უპირველესი.

ვფიქრობ, რომ ზემოხსენებულ ფაქტებს სჭირდება შესწავლა, შესაბამისად, უნდა ჩატარდეს სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, რომელიც დაადგენს სიმართლეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო პროცესის მიმართ ნდობის უზრუნველყოფის მიზნით, ვტოვებ თანამდებობას! ვფიქრობ, ეს იქნება პრეცედენტი ყველა თანამდებობის პირისათვის, საზოგადოებაში ობიექტურად გაჩენილი კითხვების შემთხვევაში იმოქმედოს პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტით.

მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ღირსეულ პოლიციელს, ვისთან ერთადაც წლების განმავლობაში ვიმუშავე. სისტემაში მუშაობენ გმირები, რომელთა მხრებზეც დგას ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება, მინდა წარმატება ვუსურვო მათ სამშობლოს სამსახურში“, — წერს საბანაძე Facebook-ზე.

პროკურატურამ გამოძიება დაიწყო

პროკურატურამ იმ მასალის საფუძველზე, რომელშიც კახაბერ საბანაძე ფიგურირებს, გამოძიება დაიწყო. როგორც მთავარმა საგამოძიებო უწყებამ „ქრონიკას“ განუცხადა, ცალკეულ საჯარო მოხელეთა მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების შესაძლო დარღვევისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტებზე მოკვლევა დაიწყო.

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, 2021 წლის 22 მარტს გამოძიება დაიწყო ცალკეულ საჯარო მოხელეთა მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების შესაძლო დარღვევისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

№ 61-62. ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 24-25 მარტი, 2021 წელი.

პოლიტიკურო ლიდერებო! – შეისმინეთ ევროკავშირის მოწოდება!

ევროკავშირის საბჭო საგარეო საქმეთა მინისტერიალის შედეგების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა მინისტრებს მიაწოდა ინფორმაცია ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭოს სხდომისა და და ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის დაძლევისკენ მიმართული ევროკავშირის მედიაციის ძალისხმევის შესახებ.

„უმაღლესმა წარმომადგენელმა დაადასტურა საჭიროება, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიების ყველა ლიდერმა დააყენოს პირველ ადგილზე ქართველი ხალხის ინტერესები, წავიდეს აუცილებელ კომპრომისებზე და ყურადღება მიაქციოს სხვა გადაუდებელ საკითხებს, როგორებიცაა კორონავირუსის პანდემია, ეკონომიკური აღდგენა და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება“, — ნათქვამია განცხადებაში. ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის პირადი წარმომადგენელი საქართველოში კვირის ბოლოს დაბრუნდება. შარლ მიშელი აცხადებს, რომ კრისტიან დანიელსონი საქართველოში მედიაციის გასაგრძელებლად ბრუნდება.

ჟოზეფ ბორელი: საქართველო არ უნდა იყოს ორმხრივ პოლარიზაციაში!



„მედიაციის ძალისხმევა ჯერ არ დასრულებულა. ჩვენ უნდა განვაგრძოთ პროცესის მხარდაჭერა. უნდა განვაგრძოთ მედიაცია. საქართველო არ უნდა იყოს ორმხრივ პოლარიზებულ გარემოში. ეს მთავრობას მუშაობის საშუალებას არ აძლევს. ქვეყანას სტაბილურობა სჭირდება, რათა მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდეს. მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ პარტიას, იხელმძღვანელონ ქვეყნის, ქართველი ხალხის ინტერესებით და მიაღწიონ საჭირო პოლიტიკურ შეთანხმებას, რათა უპასუხონ მათ წინაშე არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევებს“, — განაცხადა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეფ ბორელმა.

სალომე ზურაბიშვილი: ევროკავშირი არსად მიდის

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი კრისტიან დანიელსონის საქართველოში მოსალოდნელ ვიზიტს გამოეხმაურა:

„მადლობა, ბატონო პრეზიდენტო. ეს ძლიერი ნიშანია იმისა, რომ ევროკავშირი არსად მიდის. სანამ ჩვენ ბატონი დანიელსონის დაბრუნებას ველით, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველა მხარეს, ქვეყანა პირველ ადგილზე დააყენოს და დეპოლარიზაციის, კომპრომისისა და ერთიანობისთვის იმუშაოს“, — წერს სალომე ზურაბიშვილი.

გიორგი გახარია ბრუნდება!

ივანიშვილი შესაძლოა, 2011-2012 წლების მინი-სცენარის გათამაშებას ცდილობს“...

ფილოსოფოსი **ზაზა ფირალიშვილი** არ გამორიცხავს, რომ „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი ექსპრემიერ გიორგი გახარიას სახით, „ქართული ოცნების“ ალტერნატივის შექმნას ცდილობს. მით უფრო, რომ ფირალიშვილის ანალიზით, სადღეისოდ პოლიტიკური სივრცე ცარიელია: **„ოპოზიცია ვერც თავის როლს თამაშობს: საზოგადოებრივი აზრის მობილიზება და ნდობის მაღალი ხარისხის მოპოვება ვერ შეძლო. ეს ჩანს NDI-ს კვლევებიდან, ვერ ახერხებენ მასშტაბური აქციების გამართვას. ამ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილი შესაძლოა, ცდილობს, მცირე მასშტაბით გაათამაშოს 2011-2012 წლების სცენარი: 26 მაისის აქციის შემდეგ უკვე მკვეთრად იგრძნობოდა სრული საზოგადოებრივი აპათია, უიმედობა, თუმცა იმჟამინდელი ოპოზიცია უუნარო იყო, ხოლო ბიძინა ივანიშვილმა შეიტანა ის შფოთი, რომელმაც პოლიტიკური ცხოვრება გამოაცოცხლა“,**— ამბობს **„აქცენტთან“** ფირალიშვილი.

ფილოსოფოსი არც სხვა ვერსიას გამორიცხავს: **„ქართულ ოცნებაში“ იყო და ახლაც არის დაპირისპირება. არ გამოვრიცხავ, რომ გახარია რეალურად ნაწყენია, ვერ მოიპოვა რა ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა, რისი იმედიც ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ ამ მხარდაჭერით სარგებლობენ ახალგაზრდები, რომლებთანაც გახარიას თავსებადობაც არ აქვს და მართლა ფიქრობს, გამოიყენოს ყველა ფაქტორი, მათ შორის — ივანიშვილისაც და პოლიტიკურ ცხოვრებას დაუბრუნდეს. არც ისაა გამორიცხული, მას საერთაშორისო მხარდაჭერა ჰქონდეს — მის მიმართ გარკვეული სიმპათიები არსებობდა. ყველა შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკურ სივრცეში ისეთი პოლიტიკური ძალის შემოსვლა სჭირდება, რომელიც მის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს: შესაძლოა, მოკავშირე არ იყოს, მაგრამ მის დევნას არ განახორციელებს, მის ოჯახს, ქონებას არ შეეხება — სხვა პოლიტიკური ძალებისგან განსხვავებით, მის წინააღმდეგ მკვეთრ ზომებზე არ წავა“.**

ფირალიშვილს არა აქვს განცდა, რომ ბიძინა ივანიშვილი რეალურად გავიდა პოლიტიკიდან. მეტიც, ის დარწმუნებულია, რომ ამის შესაძლებლობას თავად „ქართული ოცნების“ წევრები არ მისცემენ და შექმნიან ყველა პირობას, რათა ივანიშვილს მდგომარეობის დაკარგვის შიში ჰქონდეს: **ყველაფერს რომ შევეშვათ, „ქართული ოცნებისთვის“ ივანიშვილი ფინანსური უზრუნველყოფაა“.**

რაც შეეხება გახარიას პერსპექტივებს პოლიტიკაში, ის ირაკლი ღარიბაშვილისა და გიორგი კვირიკაშვილისგან განსხვავებით, „პოლიტიკური სივრციდან საზოგადოებრივი სიმპათიების გარეშე არ წასულა“. ამ კონტექსტში ის იხსენებს კოვიდპანდემიასთან მართვის პროცესს, ოპოზიციის მიმართ დამოკიდებულებას: **„ოპოზიციასთან მისი ურთიერთობა დიალოგის მეტ ელემენტებს შეიცავდა, კობახიძემ კი რამდენიმე იმგვარი განცხადება გააკეთა, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მიზანდასახულად შლიდა მოლაპარაკებებს. გახარიასთან მიმართებაში განახლების იმედიც არსებობს, მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად შეძლებს კაპიტალის გამოყენებას. ჩვენ არაერთგზის გვინახავს, რომ პოლიტიკაში ახალი ძალა შემოვიდა, გვქონდა იმედი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნიჭიერების დეფიციტთან გვაქვს საქმე.**

მნიშვნელოვანია, შეძლებს თუ არა გახარია მასმედიის ყურადღების მობილიზებას; შეძლებს თუ არა, ჩადგეს როლში, როდესაც თავად შექმნის პოლიტიკურ დღის წესრიგს და არა სხვები. მას ეყოლება კონკურენტები და ექნება წინააღმდეგობა. თავად „ქართულ ოცნებას“ კი სერიოზულ მეტოქესთან წინააღმდეგობის რესურსი არ გააჩნია — დავა ელემენტარულ პოლიტიკურ კორუფციაზე, გიგანტური თანხების ხარჯვაზე“.

შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ გიორგი გახარია მედიასთან პირველად გამოჩნდა. განაცხადა, რომ პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს და დაადანონსა, „მალე შევხვდებით“. მედიასთან კომუნიკაციისას მასთან ერთად იმყოფებოდნენ მთავრობის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი კახაბერ ქემოკლიძე და საქართველოს პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ მიხეილ დაუშვილი. თავად დაუშვილს ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა კულუარული ინფორმაციით, გახარიას გუნდის წევრად განიხილება რამდენიმე დეპუტატი, მათ შორის — გიორგი ხოჯევანიშვილი და მიხეილ დაუშვილი.

ამირან სალუქვაძე: რატომ ატყუებს ოპოზიცია საქართველოს მოსახლეობას?!

რეალურად რა იდო მოლაპარაკების მაგიდაზე...

გენერალი **ამირან სალუქვაძე** სოციალურ ქსელში წერს:

„მოდით, შევაჯამოთ მმართველი პარტიის და ოპოზიციის მოლაპარაკებები პირველი „ფასილიტაციიდან“ „მედიაციამდე“, ანუ 4 რაუნდი ელჩების მონაწილეობით, შემდეგ მიშელის ჩარევა, ბოლოს დანიელსონის მხრიდან დარეგულირების ერთკვირიანი მცდელობა. კერძოდ ვინ რა დადო მოლაპარაკებების მაგიდასთან? ამ ყველაფრის გახსენება აუცილებელია სრულყოფილი ანალიზისთვის, შეფასებებისთვის.

ოპოზიციის მოთხოვნები:

— პოლიტპატიმრების გათავისუფლება; — რიგგარეშე/ვადამდელი არჩევნები; — საარჩევნო ადმინისტრაციის შეცვლა; — საარჩევნო სისტემის რეფორმირება და სხვა.

მმართველი პარტიის შეთავაზებები:

— საარჩევნო სისტემის რეფორმირება; საარჩევნო უბნების 10%-ზე დათვლის ავტომატური სისტემის დამონტაჟება, რეგისტრაცია თითის ანაბეჭდით; საგამოძიებო კომისიის შექმნა ოპოზიციის ხელმძღვანელობით და 1%-ანი ცდომილების აღმოჩენის შემთხვევაში, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება; 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებზე „ქართული ოცნების“ მიერ 40%-ზე ნაკლები ხმების მიღების შემთხვევაში, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება; პარლამენტში ოპოზიციისთვის რამდენიმე კომიტეტის თავმჯდომარის პოსტის შეთავაზება.

„ქართული ოცნების“ შეთავაზებების ნაწილი რამდენიმე ოპოზიციონერმა გააჟღერა. რადგანაც დანიელსონის თხოვნით მოლაპარაკებების დეტალები დახურულია, შეუძლებელია ამ ყველაფერზე დანამდვილებით საუბარი. შესაბამისად, სრული სურათი არ გვაქვს, თუმცა გარკვეული წარმოდგენა მაინც გვექმნება.

ოპოზიციამ განაცხადა, თითქოს „ქართულმა ოცნებამ“ ევროპას კარი დაუხურა, ასევე კომპრომისისთვის არც ერთი ნაბიჯი გადაუდგამსო. ამ დროს დანიელსონისგან ვისმენდით სულ სხვა რამეს, რომ იყო წინსვლა, პროგრესი ბევრ პუნქტთან მიმართებაში. თუ ოპოზიცია თავის წითელ ხაზებს არ გადასულა, მაშინ პროგრესში რას გულისხმობდა? ე.ი. ხელისუფლება რაღაც დათმობებზე მიდიოდა? „ლელოს“ ლიდერსაც უთქვამს, მოთხოვნების მეტი წილი შეთანხმებული იყოო.

ე.ი. იკვეთება, რომ „ოცნებამ“ ბევრი რამ შესთავაზა იპოზიციას (იხილეთ ჩამონათვალი ზემოთ). ოპოზიციის დათმობა მხოლოდ ერთ პუნქტში გამოიკვეთა — მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომა. **ბრბოდ გვთვლიან? თუ ოპოზიცია თავის საწყის პოზიციას არ გადადგამს, მაშინ მეორე მხარეს დაუთმია.**

დღეს მართლაც საოცარი შესაძლებლობა იყო საპარლამენტო ძალაუფლების გადანაწილების მხრივ, რაც არასდროს მომხდარა, როცა უმცირესობას შეეძლო რამდენიმე კომიტეტის მიღება, თუ ასეთი შეთავაზება მართლაც იყო. აღარაფერს ვამბობ საარჩევნო სისტემის ცვლილებებზე. კიდევ ერთი არაკეთილსინდისიერება, რასაც ოპოზიცია იყენებს, როცა ამბობენ, თუ კარგი საარჩევნო სისტემაა, რატომ თანხმდება „ოცნება“ რეფორმებსო?

ცუდი საარჩევნო სისტემა თუ იყო, ხომ იცოდით არჩევნებამდე? მაშინ რატომ დათანხმდით ამ სისტემით არჩევნების ჩატარებაზე? რომ მოგეგოთ, ხომ ალარ გააპროტესტებდით? ალბათ ალარც იმ რეფორმებზე წახვიდოდით, რომლებიც ახლა არის ინიციირებული?

იმავე სისტემით მანამდეც ტარდებოდა და შატალო აზრადაც არ მოგსვლიათ. მაშ ახლა რა მოხდა? აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ თქვენს მიერაა ეს სისტემა შექმნილი და თქვენს შემდეგ ზოგი რამ, ალბათ, გაუმჯობესდა?! ალბათ ფიქრობთ, რომ ევროპელების განცხადებებს ვერ ვაანალიზებთ?! ბოლოს, რაც შეეხება ევროპისთვის კარის დახურვას. თუ მიშელმა და დანიელსონმა გაჭრილად გითხრათ, რომ პარლამენტის ბოიკოტი რუსეთის ინტერესებშიაო და მაინც ბოიკოტს აგრძელებთ, ვინ უხურავს კარს ევროპას?

ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, დასავლელ პარტნიორებთან შეთანხმებით მოლაპარაკებების პარალელურად, გააქტიურეთ მოსახლეობასთან კომუნიკაცია, პანდემიის, ეკონომიკურ და უსაფრთხოების გამოწვევებზე მუშაობა“.

ᲙᲐᲠᲕᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲡᲢᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲨᲘᲗ ᲡᲘᲠᲑᲘᲚᲘᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ

„ᲓᲦᲔᲘᲓᲐᲜ ოპოზიცია გადადის მუშაობის საგანგებო რეჟიმზე, რაც ითვალისწინებს იმას, რომ ჩავალთ ყველა ქალაქში, ყველა სოფელში, შევალთ ყველა ოჯახში და დავარწმუნებთ ჩვენ მოსახლეობას, რომ ამ ბრძოლას ნამდვილად აქვს აზრი. ამ პერიოდის განმავლობაში გაიმართება არაერთი აქცია რეგიონებსა და თბილისში. ბოლოს ჩვენ შევიკრიბებით აქ, რუსთაველის გამზირზე, ეს მოხდება 15 მაისს. დიახ, ოპოზიცია გადადის პროტესტის უწყვეტ რეჟიმზე, ეს იქნება ხისტი, უწყვეტი პროტესტი, რომელიც საბოლოოდ მიგვიყვანს იმ გამარჯვებამდე, რომელიც ქვეყანას მოუტანს სასიკეთო ცვლილებებს“, – განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა **ᲖᲐᲚ ᲣᲓᲖᲣᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ**.

„გადაწყვეტილება აქციების გამართვაზე, კიდევ ერთხელ აჩვენებს ოპოზიციის დამოკიდებულებას დიალოგის პროცესისა და საერთაშორისო პარტნიორების მიმართ“, – ასე „გაშიფრა“ ოპოზიციის ოინები „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲛ**.

„ესაა კიდევ ერთი კონტრპროდუქტიული ნაბიჯი, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ოპოზიციას ხალხის შეკრების არავითარი რესურსი არა აქვს. მათ ჰქონდათ დაანონსებული 20 მარტს აქცია, თუმცა მოუწიათ ამ აქციის გაუქმება იმის გამო, რომ ხალხი ვერ იკრიბებოდა. ერთი მხრივ, ამტკიცებენ, თითქოს ხალხი არის აღშფოთებული არჩევნების „გაყალბებით“, მეორე მხრივ, ხალხი ვერ გამოჰყავთ. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მათი ნებისმიერი მსჯელობა არის მცდარი და ისინი თვითონ ატყუებენ საზოგადოებას. ამ პირობებში მათ არა აქვთ არავითარი რესურსი ხალხის შეკრებისა, ამის მიუხედავად მაინც აანონსებენ აქციებს ორი თვის თავზე, რაზეც მათ დასცინიან მათივე მხარდამჭერები უკვე. ეს არ წაადგება იმ პროცესს, რომელსაც წარმართავენ საერთაშორისო პარტნიორები ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ“, – განაცხადა კობახიძემ.

ანალიტიკოსი **ᲒᲘᲐ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ** აცხადებს, რომ მას ოპოზიციის განცხადებებმა, შარშანდელი იდენტური მოწოდებები გაახსენა, როცა იგივე ზაალ უდუმაშვილი ამბობდა, რომ მთელ საქართველოს მოივლიდა და კარდაკარ ყველა ამომრჩეველს დაელაპარკებოდნენ. თუმცა მიიღეს ის, რაც სახეზე უკვე გვაქვს – მათ არჩევნები წააგეს და ამაში ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადებული დასკვნები გვარწმუნებს. აბაშიძე ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, „ნაციონალებმა“ 27% აიღეს, დესტრუქციული ქცევების და პარლამენტში არშესვლის გადაწყვეტილებამ, დიდი ალაბთობით, ეს მხარდაჭერაც დააკარგვინა. ამიტომაც ქუჩაში არ გამოვა იმდენი ხალხი, რამდენმაც მათ არჩევნებზე მხარი დაუჭირა.

„საზოგადოებას ქუჩის პოლიტიკა აღარ აინტერესებს, მოსახლეობას პარლამენტის ჭერქვეშ კონსტრუქციული ბრძოლა უნდა. ნებისმიერ ქვეყანაში ხელისუფლების და ოპოზიციის დაპირისპირება კონსტიტუციის ფარგლებში ხდება. ხოლო კარვებით, სასტვენებით და შეშით სირბილით თანამედროვე პოლიტიკა უკვე ვეღარ კეთდება. არც ერთი საერთაშორისო აქტორი, განსაკუთრებით „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი და გულშემატკივარი პოლიტიკოსებიც კი მათ სასარგებლო განცხადებებს აღარ აკეთებენ. ამიტომაც წარმოუდგენელია, რომ დასავლეთმა და ამერიკამ, საკუთარი ორგანიზაციების კვლევას გადახედონ და თქვან, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა. მით უმეტეს რევოლუციური დაკვეთა საზოგადოების მხრიდან არ არის“, – აცხადებს გია აბაშიძე.

ანალიტიკოსი **ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲫᲐᲑᲘᲠᲐᲫᲔ** კი ამბობს, რომ აქციის მაისისთვის გადადება სწორი გადაწყვეტილებაა, თუმცა, თუ 15 მაისს ოპოზიციამ აქციაზე ხალხის საკმაოდ სოლიდური მობილიზება ვერ მოახდინა, შესაძლოა, ოპოზიციის ერთიანობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. ასევე მივიღოთ 2011 წლის სცენარი და ოპოზიცია ამომრჩევლის თვალში პოლიტიკურად სრულებით გაკოტრდეს. ეს კი ქვეყნისთვის საკმაოდ მძიმე შედეგის მომტანი იქნება და 2024 წელს „ქართულ ოცნებას“ კვლავ გამარჯვების შანსი ექნება.

„ოპოზიცია ამ გადაწყვეტილებით და განცხადებებით ძალიან დიდ რისკზე მიდის. კი ბატონო, ათვითცნობიერებენ, რომ ახლო მომავალში ისინი მასობრივ აქციებს ვერ მოაწყობენ, მაგრამ თუ ორ თვეში ხალხის ქუჩაში გამოყვანა ვერ შეძლეს, ოპოზიცია იძულებული იქნება, დაიშალოს, ან უმეტესობა იძულებული გახდება, ხელისუფლებასთან კომპრომისზე წავიდეს და ამ შემთხვევაში „ოცნება“ ბევრს არაფერსაც აღარ დათმობს.

ოპოზიცია საკუთარი მედიებიდან შეეცდება, საზოგადოებას გარკვეული სახის მოლოდინი გაუჩინოს, მაგრამ თუ ამის გამართლებას ვერ შეძლებენ, ისინი როგორც პარლამენტში შესვლის შანსებს კარგავენ, ასევე თვითმმართველობის არჩევნებზე წაგება გარანტირებული აქვთ. არადა, თუკი მოლაპარაკება არ ჩაიშლებოდა, ბევრად მეტი შანსი ექნებოდათ. რატომ აირჩიეს პოლიტიკურად ასეთი სარისკო ნაბიჯი, ჩემთვის გაუგებარია“, – ამბობს ძაბირაძე.

ანალიტიკოსი **ᲠᲐᲐᲢᲐ ᲖᲐᲥᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ** კი ამბობს, რომ თუ ოპოზიციას მხოლოდ 15 მაისის იმედი აქვს, ძალიან ცუდია, რადგან თუ უნდათ, რომ ხელისუფლება სერიოზულად შეშფოთდეს და შეშინდეს, ასეთი აქციები რეგულარული უნდა იყოს. ზაქარეიშვილი ამბობს, – „ქართულ ოცნებას“ არ მიაჩნია, რომ ქვეყანაში კრიზისია. ამიტომ ის მშვიდად და ლაღადაა, ოპოზიციას და ევროპას კატა-თაგვობანას ეთამაშება და ადგილობრივი არჩევნებისკენ მშვიდად მიდის. ამის პარალელურად კი, გზებს, სკვერებს აშენებს და ქალაქებში მშენებლობის ტენდენციას გახსნის. რაც მთავარია, მათი მოკავშირეა საზოგადოების აპათია, რომ ისინი „ქართულ ოცნებას“, „ნაცმოძრაობასა“ თუ ოპოზიციას შორის პრინციპულ განსხვავებას ვერ ხედავენ.

„ოცნება“ ყველანაირად ცდილობს, რომ ოპოზიცია ხალხმა მათ ალტერნატივად არ დაინახოს, რაც ამ ეტაპზე კარგად გამოსდის. ამ ფონზე იმედი აქვს, რომ ადგილობრივ არჩევნებზე ბევრ რამეს აჩვენებს, ფულს დახარჯავს და ამის მერე იტყვის – უკაცრავად, რომელ ვადამდელ არჩევნებზეა საუბარი, ნახეთ, ხმა რამდენმა ადამიანმა მოგვცაო. აი, აქ აგებს ოპოზიცია, როდესაც არა ადგილობრივ არჩევნებზე, არამედ მიტინგზე მუშაობს. ამ დროს კი უნდა საუბრობდნენ რა ხდება მუნიციპალიტეტებში, სადაც უამრავი პრობლემაა. ხალხის ხმა ოპოზიციიდან არ ისმის, ამიტომაც ხალხიდან ნაკლები ნდობა აქვთ. თუ ოპოზიცია მიტინგების მაგივრად ადგილობრივ არჩევნებზე არ გადაერთვება, ამასაც წააგებს. ამის მერე კი ყველანაირ რიგგარეშე არჩევნებზე საუბარი დასრულდება. აღარც ამერიკას და აღარც ევროპას აღარ ემახსოვრება. 2024 წლამდე იქნება სრული სიმშვიდე, რადგან ხალხი დაინახავს, რომ ხელისუფლება რაღაცას აკეთებს“, – ამბობს ზაქარეიშვილი.

მისივე თქმით, თუ „ქართულ ოცნებაში“ განხეთქილება შიგნით არ მოხდა და რაღაც არ გასკდა, როგორც გახარიამ შექმნა კრიზისი, მას ოპოზიცია გარედან ვერაფერს უზამს – „იმიტომ კი არა, რომ ხელისუფლება ძლიერია, არა, მაგრამ ოპოზიცია კიდევ უფრო სუსტია“. ზაქარეიშვილის აზრით, ერთდღიანი და ორდღიანი გამოსვლები „ქართულ ოცნებას“ ვერ შეაშინებს. ერთადერთი, რისიც ეშინია, თბილისში პერმანენტული მრავალრიცხოვანი აქციებია, როცა რუსთაველზე დღისით მინიმუმ 50 ათასი კაცია, ხოლო ღამით 5 ათასი მაინც დგას. ასეთ სუსტ ოპოზიციას კი ამდენი ხალხის ქუჩაში გამოყვანა არ შეუძლია.

ᲚᲘᲙᲐ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ᲛᲔᲚᲘᲐᲛ ᲒᲘᲠᲐᲝ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲝᲡ ᲓᲐ ᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲕᲠᲔᲡᲝ, – ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ!

ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ არ შედგა მხარეებს შორის და მხატვრულად რომ ვთქვათ, ოპოზიციას შესაძლოა, ერთადერთი იმედი დარჩა – „გაუმარჯოს რევოლუციას“! უკვე გაცხადდა კიდეც მათი ზრახვები, რადიკალურმა ოპოზიციამ საპროტესტო აქციები და ქალაქის თუ სოფლის ერთ დიდ გამპროტესტებლად გადაქცევის მიზანი დაისახა.

თუმცა ოპოზიციის არაერთსულოვნება ამ საქმეშიც გამოიკვეთა და რუსთაველის გამზირზე ცალკეული ოპოზიციონერი ლიდერები არ გამოჩნდნენ. რაზე დებს ფსონს ოპოზიცია? ხელისუფლების არაკონსტიტუციურად დამხობის გზაზე?

ანალიტიკოსი **ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲐᲘᲡᲐᲘᲐ** არ გამორიცხავს, ოპოზიცია რევოლუციურ სცენარზე ფიქრობდეს. ის აცხადებს, რომ, როცა მხარეები ვერ თანხმდებიან და სერიოზული კრიზისია, რომელიც უკვე სახელმწიფო კრიზისში გადადის, შეიძლება ისინი უფრო მკაცრ პოზიციაზეც გადავიდნენ, თუმცა რომელ გზას აირჩევენ, ამას დრო გვიჩვენებს.

„საქართველოსთვის რევოლუცია ახალი არ არის, თითქმის ყველა ხელისუფლება ასე მოვიდა – შევარდნაძისა თუ სააკაშვილის. გამონაკლისია ზვიად გამსახურდია, რომელიც კანონიერი გზით აღმოჩნდა ქვეყნის სათავეში. დღევანდელი ხელისუფლებაც არაძალადობრივი გზითაა მოსული, არჩევნების შედეგად შეიცვალა სააკაშვილის რეჟიმი, თუმცაღა სააკაშვილი ცდილობდა, სამხედრო გადატრიალება მოეხდინა. ამიტომ ვფიქრობ, ოპოზიცია შეეცდება, სიტუაცია კიდევ უფრო ასწიოს დულილის ტემპერატურამდე, რათა ასეთი ფონი შეუქმნას ამერიკულ მედიაციას, რომელიც, სავარაუდოდ, მოლაპარაკების პროცესში ჩაერთვება. ჩვენ ვნახეთ ჯინ შაჰინის მკაცრი ტონი მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ და ამ დროს შაჰინი და მისი თანამოაზრეები გამართავენ მოსმენებს“, – აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ.

ანალიტიკოსი **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** მიიჩნევს, რომ, რადგან მოლაპარაკებებით არ ხდება ესკალაციის განმუხტვა, არსებობს საშიშროება, არაკონსტიტუციური გზით განვითარდეს მოვლენები, ამიტომ მთავრობის ვალია, ეს საფრთხე არ დაუშვას.

„ირაკლი კობახიძემ ამის შესახებ განაცხადა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ჩემი მეგობარია და ძალიან ვგულშემატკივრობ, არ დავეთანხმები ერთ რამეში, რომ ეს ხელოვნური კრიზისი სერიოზულ საფრთხეს ქვეყნისთვის არ წარმოადგენს. პირიქითაა საქმე, როცა ხელოვნურია კრიზისი და არაკონსტიტუციურია, სწორედ ესაა საფრთხე. თორემ ამ კრიზისს რაიმე ობიექტური საფუძველი რომ ჰქონდეს, კონსტიტუციურად რომ იყოს ეს აღწერილი და კონსტიტუციაში გვქონდეს შემთხვევა, ასეთი კრიზისის დროს როგორ მოვიქცეთ, ნაკლებად საშიში იქნებოდა. ესაა დასაფიქრებელი, როცა ოპოზიცია ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ახერხებს სახელმწიფოს საბოტაჟს, პარლამენტში არშესვლა სახელმწიფოს საბოტაჟია. ამ საბოტაჟმა მძიმე შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნურადაა ინსპირირებული, რადგან არც არჩევნები არ გაყალბებულა, არც პოლიტპატიმრები არ გვყავს“, – აცხადებს დავით ზარდიაშვილი.

ამასთან, განმარტავს, რომ ამ არაკონსტიტუციურობაში სააკაშვილის ხელწერა იგრძნობა. ამავდროულად, ეს ჩვენი სახელმწიფოს სისუსტეცაა, რადგან ვერც ერთი ხელისუფლება თავს უფლებას ვერ მისცემდა, ცხრა წლის განმავლობაში ქვეყნიდან გაქცეულ ამ ავანტიურისტს ასეთი მასშტაბის პრობლემები შეექმნა ქვეყნისთვის. დავით ზარდიაშვილის თქმით, ამდენს ლაპარაკობენ მიშაზე, მას ყველაფერს ეძახიან – მტერი, ავანტიურისტი, გადარეული, მაგრამ ის ვერ მოუხერხებიათ, ამ ერთ კაცს მიხედონ და მოუარონ. ამაშია ხელისუფლების პასუხისმგებლობა.

„მელიაზე ახლა რომ ლაპარაკობენ, გირაო გადაიხადოს და ციხიდან გამოვაო, ჩემი თვალსაზრისით, ეს სამარცხვინოა. 2019 წელს ასეთი თავხედური დანაშაული ჩაიდინა მელიამ, არც მეტი, არც ნაკლები, პარლამენტის შტურმის ორგანიზება მოახდინა და დღემდე გაუსამართლებელია. აქ გირაოზე კი არაა საუბარი და წინასწარ აღმკვეთ ღონისძიებაზე, არამედ მის დასჯაზე სამართლიანი სასამართლოს გზით. ეს დანაშაული განგრძობადია, დღეს ეს პოლიტიკური ძალა იმავეს აგრძელებს, ანუ სახელმწიფოზე შტურმს, შეტევას. მართალია, ახლა ეს შეტევა ცარიელი კარვებით მიმდინარეობს, მაგრამ ეს ცარიელი კარვები ხილული სახეა იმისა, რაც ხდება მათ სამ ტელევიზიაში. ეს არის პროპაგანდისტული შტურმი დამხობისკენ და ჩვენ ამ პროცესში ვიმყოფებით“, – მიიჩნევს ანალიტიკოსი.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

№ 61-62. ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 24-25 მარტი, 2021 წელი.

რა უნდა ვიცოდეთ ვაქცინაციამდე?!

აშშ-ში მომუშავე ქართველი ექიმები **ნანა გეგეჭკორი** და **ზურაბ გურული** საქართველოში ვაქცინაციის პროცესთან მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით სპეციალურ რჩევა-რეკომენდაციას ავრცელებენ.

„მოგეხსენებათ, მედიცინის განვითარების ისტორიაში არაერთი ფაქტია ცნობილი, როდესაც ტრაგიკულმა შემთხვევითობამ და მისგან გამოტანილმა სწორმა ანალიზმა უამრავი ადამიანის სიცოცხლე იხსნა. ასეთი იყო მაგალითად 2001 წელს, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კლინიკაში, ჯონს ჰოპკინსის ჰოსპიტალში მომხდარი შემთხვევა, როდესაც სამედიცინო პერსონალს შორის არასრულყოფილი კომუნიკაციის გამო წლინახევრის პატარა ჯოზი კინგი დაიღუპა. ამ შემთხვევამ არაერთი სპეციალური პროტოკოლისა და გზამკვლევის განვითარებას მისცა დასაბამი, რამაც ამერიკული კლინიკების უსაფრთხოების სისტემა არსებითად შეცვალა. ასე ვითარდება მსოფლიო მედიცინა და ასე მოქმედებენ ცივილიზებული ქვეყნების პროფესიონალები.

საქართველო და ქართული მედიცინა ამჟამად მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას. კორონა-პანდემიამ არაერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და კიდევ იმსხვერპლებს. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების უნივერსალური შეთანხმებითა და უპირობო კონსენსუსით, ვაქცინაცია არის მიჩნეული პანდემიის დამარცხებისა და დარღვეული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ბალანსის აღსადგენ უმთავრეს იარაღად“, — აღნინავენ ექიმები.

მათი თქმით, ვაქცინაციის პროცესი მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემებით დაიწყო და ამ პროცესის დაყოვნებას, არასრულყოფილად წარმართვას და ჩაშლას უზარმაზარი უარყოფითი შედეგის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის, რაც არაერთი ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და სოციალურ კეთილდღეობას შეიწირავს.

„მოგეხსენებათ, საქართველოში ამჟამად შემოტანილ „ასტრაზენეკას“ ვაქცინას უკავშირებენ თრომბოზების გარკვეულ რისკს; მიუხედავად იმისა, რომ ობიექტური მონაცემების თანახმად, ჯერჯერობით ეს ვერ დამტკიცდა, რაც ევროპის წამლების სააგენტომ ოფიციალურად დადასტურა. შესაბამისად, ვაქცინაციის პროცესი განახლდა ევროპის წამყვან ქვეყნებში. ქართულ მედიაში უკვე გაჟღერდა ინფორმაცია, რომ საქართველოში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევას გარკვეული კავშირი ჰქონდა თრომბოზულ გართულებასთან, რაც თავისთავად იძლევა მითქმა-მოთქმისა და ვაქცინაციის მიმართ შიშის საფუძველს. ამ შემთხვევის ობიექტურ, გამჭვირვალე გამოძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ექნება საქართველათვის, რადგან სწორად გაკეთებული ექსპერტ-ანალიზი და დასკვნები პოტენციურად არაერთი ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას იხსნის“, — აცხადებენ ექიმები. ექიმების აზრით, პრევაქცინაციურ სკრინინგს რამდენიმე მნიშვნელოვანი შეკითხვა უნდა დაემატოს:

„მანამ კი, სანამ საბოლოო დასკვნა დაიდება, არსებული მონაცემების გათვალისწინებითა და გაანალიზებით ჩვენ ვთვლით, რომ პრევაქცინაციურ სკრინინგს უნდა დაემატოს რამდენიმე მნიშვნელოვანი შეკითხვა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს წინასწარ გამოვყოთ მაღალი პროთრომბოზული რისკების მქონე ადამიანები და მათი ვაქცინაცია ამ რისკების გათვალისწინებით დაიგეგმოს. ცხადია, პროთრომბოზული რისკ-ფაქტორების არსებობა არ ნიშნავს, რომ ადამიანთა ამ ჯგუფის აცრა არ შეიძლება. უფრო პირიქით, ვინაიდან თავად კორონა-ვირუსი ატარებს თრომბოზების ძალიან მაღალ რისკს და მისი პრევენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პაციენტთა აღნიშნულ სპექტრში. ასეთ შემთხვევებში რისკების წინასწარ ცოდნა და გათვლა მათ ადეკვატურ მართვაში დაგვეხმარება. საბედნიეროდ, მსგავსი რისკ-ფაქტორები პოპულაციის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს აღენიშნება და მათზე ინდივიდუალურად მორგებული გადაწყვეტილებები დაგვიცავს თუნდაც უკიდურესად იშვიათი უბედური შემთხვევებისგან.

პროთრომბოზული რისკებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სისხლის შედედების ფაქტორებში არსებული მუტაციების შედეგად განვითარებულ პათოლოგიებს, რომელთა შესახებაც ადამიანმა შეიძლება მხოლოდ მაშინ შეიტყოს, როცა პირველი თრომბოზული გართულება მოხდება. მათი ამოცნობა სპეციალური კვლევების გარეშე შეუძლებელია, თუმცა, ანამნეზიდან ამოკრეფილი დეტალებით დროულად ეჭვის მიტანა და შესაძლო გართულებების თავიდან აცილება სრულიად რეალურია“, — აცხადებენ ექიმები.

ნანა გეგეჭკორის და ზურაბ გურულის ცნობით, მაღალი პროთრომბოზული რისკებით გამოირჩევიან:

- **ანტიფოსპოლიპიდური სინდრომი;**
- **შედედების მეხუთე ფაქტორის (ლეიდენის) მუტაცია;**
- **C“ პროტეინის დეფიციტი;**
- **„S“ პროტეინის დეფიციტი;**
- **ანტითრომბინის დეფიციტი;**
- **ავთვისებიანი სიმსივნეები;**
- **ჩანაცვლებითი ჰორმონული თერაპია;**
- **ჩასახვის საწინააღმდეგო მედიკამენტები;**
- **იმობილიზაცია.**

ექიმები აღნიშნავენ, რომ ვაქცინაციის წინ ყველა ამ დაავადებებზე კვლევების ჩატარება საჭირო არ არის, თუმცა შესაძლებელია, ვაქცინაციის პროცესისათვის შექმნილ კითხვარს დაემატოს რამდენიმე მნიშვნელოვანი შეკითხვა, რაც დაეხმარებათ შესაძლო თრომბოზული გართულების რისკების მქონე ადამიანების წინასწარ გამოცნობაში და შესაბამისი ზომების მიღებაში. მათი აზრით, **პრევაქცინაციურ სკრინინგს უნდა დაემატოს შემდეგი კითხვები:**

- **ხომ არ გაქვთ ვენური და არტერიული თრომბოზების პერსონალური ისტორია?**
- **ქალებში — ხომ არ გქონდათ წარსულში სპონტანური აბორტის ისტორია? (სპონტანური აბორტები ხშირად მიუთითებს ჰიპერკოაგულაციური რისკების მაღალ ალბათობაზე).**
- **ქალებში — ხომ არ იტარებთ ჩასახვის საწინააღმდეგო ჰორმონულ თერაპიას?**
- **ხომ არ იტარებთ ჩანაცვლებით ჰორმონულ თერაპიას (იგულისხმება ნაადრევი მენოპაუზისას გამოყენებული ჰორმონული თერაპია)?**
- **ხომ არ გაქვთ დადგენილი ავთვისებიანი სიმსივნე და იტარებთ თუ არა ქიმიოთერაპიას ამჟამად? (წარსულში მსგავსი პრობლემა, რომელიც ამჟამად რემისიაშია, რისკ-ფაქტორს არ წარმოადგენს).**

- **უახლოესი პერიოდის განმავლობაში ხომ არ იყავით იმობილიზირებული რაიმე მიზეზით? (ტრავმა, ქირურგიული ჩარევა, ჰოსპიტალიზაცია).**
- **ხომ არ გაქვთ სისხლის უკვე ცნობილი თანდაყოლილი პათოლოგიები? (ანტიფოსფოლიპიდური სინდრომი, ლეიდენის შედედების მეხუთე ფაქტორის მუტაცია, „C“ პროტეინის დეფიციტი, „S“ პროტეინის დეფიციტი, ანტითრომბინის დეფიციტი).**

როგორც ექიმები აცხადებენ, ხსენებულ შეკითხვებზე დადებითი პასუხების შემთხვევაში, ასაცრელი პირი შეიძლება (და უნდა), დამატებით გამოიკითხოს თრომბოზული რისკების შემცველი დაავადებების კლინიკურ გამოვლინებებზე და მხოლოდ ინდივიდუალურად მორგებული გადაწყვეტილების საფუძველზე, განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით დაიგეგმოს მათი ვაქცინაცია.

PFIZER-BIONTECH-ის ვაქცინის შემქმნელი მეცნიერები ამბობენ, რომ მათი შემდეგი სამიზნე კიბოა

მეცნიერები, რომლებმაც პირველებმა შექმნეს კორონავირუსის საწინააღმდეგო, ამჟამად ფართოდ გამოყენებადი ვაქცინა, აცხადებენ, რომ ხალხს შეუძლია ეჭვი არ შეიტანოს ამ ვაქცინის უსაფრთხოებაში, ხოლო ტექნოლოგია, რომლითაც ის არის შექმნილი, სულ მალე გამოყენებული იქნება კიდევ ერთი გლობალური სენის — კიბოს წინააღმდეგ.

ოზლემ თურეჯი, რომელმაც ქმართან ერთად დაარსა გერმანული ბიოტექნოლოგიური კომპანია BioNTech-ი, შარშან სხეულის იმუნური სისტემისთვის კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის სწავლებაზე მუშაობდა, როდესაც ჩინეთში გამოჩენილი უცნობი ვირუსის შესახებ შეიტყო.

საუზმის დროს ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, რომ ახალი საფრთხისკენ მიემართათ ის ტექნოლოგია, რომელზეც ისინი უკვე ოცი წელია, მუშაობდნენ; ახალ პროექტს Project Lightspeed უწოდეს.

11 თვის შემდეგ, ბრიტანეთმა გამოყენებისთვის დაამტკიცა BioNTech-ის მიერ ამერიკულ ფარმაცევტულ გიგანტ Pfizer-თან ერთად შექმნილი mRNA ვაქცინა; ერთ კვირაში იგივე გადაწყვეტილება მიიღო აშშ-მაც. დეკემბრის შემდეგ, ამ ვაქცინით მსოფლიოში უკვე ათეულობით მილიონი ადამიანი აიცრა. **„თამამი გადაწყვეტილებების მიღება ნამდვილად ღირს, თუ ექსტრაორდინარული ჯგუფი გყავს; ასე, რეალურ დროში შეგიძლია გადაჭრა ნებისმიერი პრობლემა ან დაბრკოლება, რომელიც გზაზე გადაგეღობება“,** — განუცხადა თურეჯიმ ინტერვიუში The Associated Press-ს.

თურეჯის განცხადებით, Pfizer-თან ერთად, რომელიც ჩინურ Fosun Pharma-სთვის აპირებდა დახმარებას, ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდა. ამ ყველაფრით მან და მისმა ქმარმა, BioNTech-ის აღმასრულებელმა დირექტორმა უღურ საჰინმა, ისევე როგორც მათმა სხვა კოლეგებმა, ისწავლეს, რამდენად მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობა.

„არსებობს RNA-ს ტექნოლოგიაზე დაფუძნებული კიბოს საწინააღმდეგო რამდენიმე სხვადასხვა ექსპერიმენტული ვაქცინა“, — ამბობს თურეჯი. კითხვაზე, როდის შეიძლება გახდეს ასეთი თერაპია ხელმისაწვდომი, თურეჯი აღნიშნავს, რომ ინოვაციაზე მუშაობის დროს რაიმეს პროგნოზირება რთულია.

„თუმცა, ვვარაუდობთ, რომ სულ რამდენიმე წელიწადში, გვექნება კიბოს საწინააღმდეგო ჩვენი ვაქცინებიც, თანაც უკვე მოსახსმარებლად მზად“, — ამბობს თურეჯი. ამჟამად თურეჯი და საჰინი აქტიურად მუშაობენ, რომ სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ შეკვეთილი კორონავირუსის ვაქცინა დანიშნულების ადგილას დროულად ჩავიდეს და ვაქცინა ეფექტიანი იყოს ვირუსის ნებისმიერი ახალი მუტაციის წინააღმდეგ. რამდენიმე დღის წინ, გერმანიის პრეზიდენტმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა ცოლ-ქმარი ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი, ღირსების ორდენით დააჯილდოვა; ცერემონიას კანცლერი ანგელა მერკელიც ესწრებოდა.

მომზადებულია nbcnewyork.com-ის მიხედვით.

მიხეილ ჭაბუკაშვილი

დღეისთვის 4000-ზე მეტი სამედიცინო პერსონალი აიცრა!

დღევანდელი მდგომარეობით 4000-ზე მეტი სამედიცინო პერსონალია აცრილი, — ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, თამარ გაბუნიამ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, როგორც სამედიცინო პერსონალს, ისე 65 წელს ზემოთ პირებსაც შესაძლებლობა ექნებათ, გააკეთონ არჩევანი „ფაიზერსა“ და „ასტრაზენეკას“ შორის.

ვულოცავთ!...



ჩვენი ღირსეული თანამედროვე

თემო გოცაძე-80

თემო გოცაძე 80 წლის გახდა. მან ახალგაზრდული ენერგიით შეაბიჯა სიბრძნის ასაკში და დღესაც შთამბეჭდავ შემოქმედებით ძიებებშია ჩაფლული...

დიდებული ოჯახის შვილმა იმემკვიდრა წინაპართა საუკეთესო თვისებები და თავისი ცხოვრების წესით, კეთილშობილებით, ნიჭიერებით, ეროვნული ცნობიერებით და დაკისრებული მოვალეობისადმი დიდი პასუხისმგებლობით, იგი ათეული წლების მანძილზე ერთგულად ემსახურება სამშობლოს, ქართულ მხატვრობას.

უკანსკნელ წლებში საგამოფენო დარბაზებში კიდევ ერთხელ რელიეფურად წარმოჩინდა მისი მხატვრული აზროვნების ფართო დიაპაზონი, ღრმა შინაგანი სამყარო მუდმივი სწრაფვა სიახლისკენ.

იგი იოლად არ მისულა დიდ აღიარებამდე, ურთულესი წინააღმდეგობების გადალახვა მოუწია, როცა საქართველოს მხატვართა ყრილობაზე, მან, ჯერ კიდევ ახალბედა მხატვარმა, გაბედა და დაგმო იმხანად სამხატვრო აკადემიაში დასადგურებული სწავლის მეთოდოლოგია, რის შედეგადაც თავად მხატვრის შემოქმედება ქარცეცხლში გატარდა, და თემო გაცაძე თავის რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად ბურჟუაზიული ხელოვნების აპოლოგეტად გამოცხადდა.

„ევროპის მოტაცება“

მხატვრის შემოქმედებას დიდი აღიარება მოჰყვა.

ძალზე ნაყოფიერი გამოდგა თემო გოცაძის საქმიანობა კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, სადაც იგი იყო სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის სამხატვრო ხელმძღვანელი. სწორედ აქ შექმნა მან საეკლესიო ისტორიული მხატვრობის სახელოსნო და პროფესიონალ-მონუმენტალისტთა ექვსი თაობა აღზარდა.

სრულიად განსაკუთრებულია თემო გოცაძის დამსახურება წლების მანძილზე თანამედროვე ქართული მხატვრობის საგამოფენო პოლიტიკის წარმართვის თვალსაზრისით, როცა იგი სათავეში ედგა საქართველოს სამუზეუმო-საგამოფენო გაერთიანებას, იყო მხატვართა კავშირის მდივანი.

საყოველთაო აღიარებით, თემო გოცაძის მხრიდან ეს იყო ქართველ მხატვართა მხარდაჭერის,თანადგომის საუკეთესო წლები.

თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ყოფილა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რა დროსაც თემო გოცაძეს მკაფიოდ არ გამოეხატა თავისი პრინციპული მოქალაქეობრივი პოზიცია. დღემდე მის შესახებ ბევრი ითქვა და უთუოდ ითქმება მომავალში.

თემო გოცაძე არის ბობოქარი, დაუცხრომელი ჭეშმარიტი მოღვაწე, ავ-კარგიანი, ქვეყნის გულმხურვალე ჭირისუფალი, ერთგული მეგობარი. ამიტომაც დაიმკვიდრა მან საზოგადოებაში შესანიშნავი სახელი. ამიტომაც მივმართავთ მას სიყვარულით, პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით!

მხნედ, ჩვენო საამაყო მეგობარო და მამულიშვილო!..

საზოგადოება „კუს ტბის“ სამეგობრო

თეა წულუკიანი დიდ საქმეს რწმენით და იმედით იწყებს...

„ოქროს ფონდი“ არის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის პრობლემა, რომელიც დღეს სამწუხაროდ, მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ეს მუზეუმი ბოლო 15 წლის განმავლობაში გამოიშიგნა, — ამის შესახებ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.

„მუზეუმიდან ექსპონატები სხვაგანაა გადატანილი. იქ ვეღარ ნახავთ ფიროსმანს, გაბაშვილსა თუ სხვა ექსპონატებს, მათ შორის „ყაჯრულ კოლექციას“. ერთადერთი რაც არაა გადატანილი, ესაა „ოქროს ფონდი“ და ხახულის ხატი, აწყურის ხატი და სხვა. ხატები არის უმძიმეს მდგომარეობაში. ვინაიდან მე მქონდა მოლოდინი, რომ პოლიტიკური კონსულტაციების შედეგად ამ სამინისტროს ვუხელმძღვანელებდი, დრო მოვიგეთ, მივმართეთ იუნესკოს. ოთხი ექსპერტი დაგვინიშნა იუნესკომ, რომელიც ქართველ სპეციალისტებთან ერთად თითოეული ხატის მდგომარეობას შეაფასებს.

სამწუხაროდ არ ვიცით, რომელ ხატს შეიძლება შეეხო, რომ გადააადგილო და იმ შენობას რესტავრაცია ჩაუტარო. ზოგ ხატს თუ შეეხები, შეიძლება უბრალოდ ჩამოიშალოს. ამიტომ, აქაც არის პროფესიონალების დეფიციტი, იმიტომ რომ აკადემიამ გააუქმა ეს პროფესიები და აქაც დიდი რეფორმა გვექნება ჩასატარებელი“, — აღნიშნა წულუკიანმა.

უნდა შეიქმნას თეატრის რეფორმის ჯგუფი!..

ნამდვილად ვიცი, რომ არაერთ თეატრს, რომელსაც აქვს კულტურის სამინისტროს სიპის სტატუსი და ასევე თეატრალურ უნივერსიტეტს, აქვთ სურვილი რომ შეიქმნას თეატრის რეფორმის ჯგუფი, სადაც იქნება დისკუსია დაფინანსების წესზე — როგორ დაფინანსდეს თეატრები იმისთვის, რომ მათ ჰქონდეთ უფრო მეტი გასაქანი თავისუფალ, კომერციულ სივრცეში და გაჭირვების ჟამს იმედი ჰქონდეთ, რომ საბაზისო მოთხოვნებს სახელმწიფო უკმაყოფილებს, — ამის შესახებ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა „დღის ქრონიკაში“ ისაუბრა.

მისი თქმით, დღეს არის სურვილები, რომ კერძო რამდენიმე თეატრი სახელმწიფო ორგანიზაციად იქცეს.

თეა წულუკიანმა ასევე აღნიშნა, რომ პანდემიამ აჩვენა, რომ არა სახელმწიფოსა და განათლების სამინისტროს დახმარება, თეატრები ვერ გადარჩებოდნენ და ხალხის მასობრივი გათავისუფლება საჭირო იქნებოდა.

* * *

არა მხოლოდ თეატრები, ასევე მუზეუმები და სხვა მიმართულებების წარმომადგენლები საოცრად დაზიანდნენ იმიტომ, რომ შემოსავალი აღარ იყო. ის შემოსავალი, რაც მათ დააკლდათ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ მეტ-ნაკლებად შეუვსოთ, მაგრამ შევსება მოხდა მხოლოდ იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც აქვთ სიპის სტატუსი, თუმცა ეს შევსება იყო ნაწილობრივი და რეალურად გადარჩენის გარანტია, — განაცხადა წულუკიანმა.

„ახლა, როდესაც ეს ორგანიზაციები გაიხსნება და შემოსავლის მიღება დაიწყება, ჩვენ დაახლოებით 2-3 თვეში გვექნება ფაქტებზე დაფუძნებული ხედვა, თუ რისი გაკეთება არის საჭირო იმისთვის, რომ სწრაფად დავძლიოთ პანდემიით გამოწვეული დამაზიანებელი შედეგები.

აქ ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ შევძლოთ და ჩავიხედოთ იმ ადგილებში, რომელიც არის თავისუფალ ბაზარს მინდობილი და საერთოდ არ არის ჩვენი სისტემის ოფიციალურად ნაწილი, მაგრამ კულტურის დარგია. მაგალითად ის ხელოვანები, რომლებიც არც კულტურის სამინისტროს თეატრებში მუშაობენ და კერძო თეატრში მოღვაწეობენ, ან კიდევ არიან ხელოვანები, რომლებიც თავის თავზე მუშაობენ და თავიანთი საქმიანობით პანდემიამდე ინახავდნენ საკუთარ შემოქმედებას და ოჯახებსაც. მათთანაც დიალოგის მექანიზმები იქნება მოსაწესრიგებელი. ჩვენ დავინტერესდებით იმით, თუ რა უჭირთ მათ, ან შეიძლება არაფერი უჭირთ, მაგრამ აქვთ წინადადებები, სურვილები, რაშიც შევძლებთ, ხელი უნდა შევუწყოთ“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

საჩუქრად ხელოვნების სასახლეს



ხელოვნების სასახლეს ცნობილი მხატვრის ალექსანდრ ბენუას ნამუშევრები საჩუქრად გადაეცა, — ინფორმაციას ამის შესახებ ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია ავრცელებს.

1928 წელს, პარიზის გრანდ ოპერის სპექტაკლისთვის შექმნილი სამი ესკიზი, რომელიც ბენუას ეკუთვნის, მუზეუმის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარემ არჩილ გელოვანმა შემოწირულობის სახით გადასცა.

ხელოვნების სასახლისთვის გადაცემული ნამუშევრები ლონდონში სოტბის აუქციონზე შეიძინა და თბილისში ჩამოიტანა.

„მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარემ მუზეუმში გამართული შეხვედრის დროს განაცხადა, რომ მისი მიზანია, ხელოვნების სასახლე „ვერცხლის საუკუნის“ მხატვართა ნამუშევრების მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი კოლექციის მფლობელი გახდეს, ამ მიზნით, მუზეუმის მზრუნველთა საბჭო და ფონდი „ფიროსმანი“ ეტაპობრივად თეატრალური ხელოვნების შედევრთა შესყიდვას დაიწყებს. უკვე წარმატებით დასრულდა ბერლინში მოლაპარაკებები და უახლოეს დღეებში ხელოვნების სასახლე ალექსანდრე ბენუას კიდევ ექვს ნამუშევარს მიიღებს, მათ შორისაა 1909-1910 წლებში პარიზის „პალეგარნეში“ და „გრანდ ოპერაში“ განხორციელებული დადგმების „ჟიზელი“ და „ამურისა და ფსიხეას ქორწინების“ ესკიზები“, — წერს გიორგი კალანდია.

ვკითხულობთ, ვითმენთ და... ვიხელებთ!..

ქართული ენის სიწმინდისთვის ბრძოლა საუკუნის წინანდელ საქართველოში

მიზანი: როგორი იყო ვითარება საუკუნის წინანდელ საქართველოში ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის თვალსაზრისით; ვინ იდგა სიწმინდისათვის ბრძოლის ავანგარდში; როგორი იყო ხელისუფლების პოზიცია; რა შედეგები ჰქონდა ამ ბრძოლას და საუკუნის წინანდელი გამოცდილებიდან რა შეიძლება გამოდგეს სადღეისო გაკვეთილად...

* * *

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში ძალაუფლება ბოლშევიკებმა აიღეს ხელთ. ოთხი დღის მიღებული საქართველოს პირველი კონსტიტუცია დაბადებისთანავე ჩაბარდა წარსულს... და წაიღო პირველი კონსტიტუციური ჩანაწერიც — **„საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული“**... ბოლშევიკებმა თავიანთი კონსტიტუცია 1922 წელს მიიღეს; მასში ასეთი ჩანაწერი იყო: „საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ენად **ითვლება** ქართული ენა“... რას ნიშნავს „ითვლება“? ეს არ არის კონსტიტუციის ენა... — ვერ გაბედეს ქართულის სახელმწიფო ენად გამოცხადების ინიციატივის თავანთ თავზე აღება და მიანიშნეს, ვტოვებთ, როგორც იყოო... მაგრამ ეს არ არის ამჯერად ჩემთვის მთავარი; არსებითი ის არის, რომ ბოლშევიკებისთვის ეს არ იყო „ჩანაწერი ჩანაწერისთვის“! ისინი რეალურად ცდილობდნენ, კონსტიტუციის ეს მოთხოვნა შეესრულებინათ... მაგალითი:

1922 წლის მარტში გაზეთ „კომუნისტში“ (№11) გამოქვეყნდა რევკომის ბრძანება „სახელმწიფო ენა საქართველოში“. მოვიყვანთ სრულ ტექსტს:

„მიუხედავად რევკომის არა ერთხელ გამოცემული ბრძანებისა, რომ საბჭოთა სოციალისტური საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული და საქართველოს ყველა დაწესებულება როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო, ვალდებულია, სასტიკად აასრულონ ეს ბრძანება. ქალაქ თბილისში მაინც იჩენს თავს პროვოკაციული მოქმედება აღნიშნული ბრძანების წინააღმდეგ: იყო შემთხვევა ქართული ენის გაძევების სურვილისა ზოგიერთი დაწესებულებიდან.

რევკომი ერთხელ კიდევ ბრძანებს, სასტიკად ასრულებულ იქნას მისი ბრძანება და მოისპოს პროვოკაცია მშრომელთა უფლებისა, რომელიც არა თუ არ ცდილობს საქართველოს და მის თვითგამორკვევის მოსპობას, არამედ თავის მიზნად ისახავს სახელმწიფო ენის დაცვასთან ერთად, გააძლიეროს და ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს მშრომელთა სრული თვითგამორკვევა.

უკანასკნელ დროს, გამოჩნდნენ პროვოკატორები, რომლებიც შლიან დუქნების და სხვა საზოგადო დაწესებულებებიდან ქართულ წარწერებს. უკვე რამოდენიმე კაცი ამისთვის დაპატიმრებულია და მიიღებენ ღირსეულ სასჯელს.

რევკომი აფრთხილებს ყველას, რომ ამისთანა პროვოკაციული მოქმედებისათვის, რომელიც ასუსტებს საბჭოთა მთავრობას საქართველოში, სასტიკად იქნებიან დასჯილნი“.

მივაქციოთ ყურადღება: **„მიუხედავად რევკომის არა ერთხელ გამოცემული ბრძანებისა“... „რევკომი ერთხელ კიდევ ბრძანებს“... „რამოდენიმე კაცი ამისთვის დაპატიმრებულია“... „სასტიკად იქნებიან დასჯილნი“... — ეს ქართული ენის ინტერესების დამრღვევთ მიემართება“...**

როგორც ჩანს, ქართული ენისადმი ბოლშევიკების ეს დამოკიდებულება არ განელებულა მომდევნო წლებშიც. მწერალი **მიხეილ ჯავახიშვილი** 1928 წელს წერდა: „შარშან ს.კ.პ.(ბ) ცაკ. მე-IV პლენუმის დროს ამხ. **მიხა კახიანმა** აღნიშნა, რომ ჩვენი პრესა, წიგნი და საერთოდ ლიტერატურა ხშირად მოიკოჭლებს ქართული ენის ცოდნის მხრივ და მოითხოვა ამ ნაკლის სასწრაფოდ გამოსწორება და ქართულის სისუფთავის დაცვა“.

მიხეილ კახიანი იმჟამად ერთ-ერთი უმაღლესი პარტიული ხელისუფალი იყო საქართველოში...

მ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს მეორე პარტიული ლიდერის — **ფილიპე მახარაძის** — პოზიციაზეც: **„ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ ამავე საკითხს დიდი ყურადღება მიაქცია და დამახინჯებული ქართულის მრავალი მაგალითი დაასახელა“. „ფ. მახარაძემ ამგვარ მოვლენას მავნებლობა უწოდა და სუსხიანი ზომების მიღებას დაგვპირდა“...**

საგანგებოდ გახაზავს **კონსტანტინე გამსახურდიაც:** „სრულიად საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ გულისტკივილით შესჩივლა ყრილობას (იგულისხმება მწერალთა ყრილობა — გ.გ.): ქართული ენა ჩვენს თვალწინ მახინჯდებაო“.

უფრო ადრე გაზეთ „კომუნისტში“ (1926 წ. №68) ქართული ორთოგრაფიის საკითხებზე დისკუსია წამოუწყია ცნობილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს **მამია ორახელაშვილს** („გამარტივება თუ გართულება“)... ამ დისკუსიაში მ. ჯავახიშვილსაც მიუღია მონაწილეობა („არც გამარტივება და არც გართულება“ — „კომუნისტი“, 1926 წ. 16 მაისი)...

მიხეილ ჯავახიშვილი ამასაც წერს: **„საბჭოთა ხელისუფლება თავიდანვე უდიდეს ყურადღებას აქცევს მეტყველების იარაღს ენას და ყოველნაირად ცდილობს მის დაწმენდას, დაცვას და ეპოქისამებრ შეხალისებას“**. არ იყო მ. ჯავახისვილი ის კაცი (და არც კ. გამსახურდია), ხელისუფლების საამებლად ეთქვა ასეთი რამ. ეს იყო ფაქტი. ვინც გადახედავს იმდროინდელ პრესას („კომუნისტი“, „სალიტერატურო გაზეთი“...), იოლად დარწმუნდება ამაში...

სხვა ფაქტების მოხმობაც შეიძლება, მაგრამ „გაკვეთილისთვის“ ესეც საკმარისია: **საუკუნის წინანდელ საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლება უფრო სერიოზულად ფიქრობს, მეტს აკეთებს დედაენისთვის...**

ეს დამოკიდებულება სანატრელია თავისუფალ საქართველოში...

* * *

რა მდგომარეობაშია ქართული ენა საუკუნის წინანდელ საქართველოში?

ჩვენ იმდროინდელი **ენობრივი ვითარების „ექსპერტებად“ მიხეილ ჯავახიშვილსა და კონსტანტინე გამსახურდიას** მოვიხმობთ.

მ. ჯავახიშვილი: „ქართულ ლიტერატურულ ენას ქართველი ინტელიგენცია ჰქმნიდა და ეხლაც იგივე ჰქმნის, მაგრამ თუ რამ ირყვნება და ლპება, ესეც უმეტესად მასვე უნდა მიეზღოს... ამ ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილი თითქო დამუნჯდა: ენას უკიდებს, ბორძიკობს, წამებით ეძებს სიტყვას, ძლივს პოულობს, უმალვე ჰკარგავს და ისევ ეძებს, მუდამ ეძებს. მისი ქართული გახმა, მოიკრუნჩხა, დაიხლართა, დამძიმდა. აღარც ძველი ნათელობა შერჩა, არც გამჭვირვალობა, არც მკაფიობა და მოქნილობა, რაც ხუთი სიტყვით ითქმის, ათიც ძლივსღა ჰყოფნის“. „ქართულ ენას სისხლი ეწამლება, თუ დროზედ არ მივეშველეთ, მერე გვიანღა იქნება“...

კ. გამსახურდია: „შეუწყნარებელი თვითნებობაა მართლწერის მხრით გამეფებული, როგორც სახელმწიფო უწყებათა მეტყველებაში, ისე პრესაში, მწერლობაში და თვით სამეცნიერო ლიტერატურაში“; „ქართული ინტელიგენცია უნდა ამოძრავდეს, დაუდევრობა უდიდესი სენია დღევანდელი ქართველობისა, სწორედ მეტყველებაში იჩენს, უწინარეს ყოვლისა, ამ დაუდევრობას ქართველი კაცი“.

რატომ ვიმოწმებთ მ. ჯავახიშვილსა და კ. გამსახურდიას? — ფაქტია, იმდროინდელ საქართველოში **სალიტერატურო ქართული ენის სიწმინდისთვის ბრძოლის ავანგარდში ქართული მწერლობა იდგა**. ეს საზოგადოებრივი პოზიცია იყო. წერდა **მ. ჯავახიშვილი: „უდიდესი ამოცანაა ენის დაწმენდა და ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვეს, ხოლო ამ უკანასკნელს რომ შეეძლოს სხვათა მხილება, ჯერ თვითონ უნდა განიკურნოს“.**

ასევე ფიქრობდა **კ. გამსახურდიაც** და კოლეგებსაც მოუწოდებდა: **„ჩვენ — ქართველმა მწერლებმა ხმალი უნდა ვიშიშვლოთ მშობლიური ენის თავანკარობის დასაცავად“.**

ქართული ენის სიწმინდისთვის ბრძოლაში საუკუნის წინანდელ საქართველოში სწორედ რომ **ქართულმა მწერლობამ იტვირთა** „ამ საქმის პირველი მეთაურის როლი“ და **ხელისუფლებაც** გარკვეულწილად **ანგარიშვალდებულად** თვლის თავს მათ წინაშე...

მწერალთა კავშირში იმართება საჯარო განხილვები, დისპუტები ენობრივ საკითხებზე; მწერალთა ყრილობებზე განსახილველ საკითხთაგან ქართული ენის პრობლემა ერთ-ერთი უპირველესია... ხელისუფლები მონაწილეობენ, აქტიურობენ ამ განხილვებში...

30-იან წლებში მოსკოვში დაიწყო „ლაშქრობა რუსული ენის სიწმინდისათვის“ (მაქსიმ გორკი იყო ამის წამომწყები); როგორც ხდებოდა ხოლმე, ქართველმა ბოლშევიკებმა მეტი აქტიურობა გამოიჩინეს და ლაშქრობა გამოაცხადეს ჩვენში ქართული ენის სიწმინდისათვის... კ. გამსახურდია საჯაროდ აცხადებს, **„ნურას უკაცრავად, თუ ამ საკითხების გამო დავის დროს არავის ავტორიტეტს არ მოვერიდოთო“.**

ქართულ ენას ღირსეულად ემსახურებიან ქართველი ენათმეცნიერები... მწერლები პირველობას ეცილებიან ენათმეცნიერებს დედაენის მოვლა-პატრონობაში; წერს კ. გამსახურდია: **„პირუთვნელად უნდა ითქვას, ზოგ შემთხვევაში ზოგიერთმა ჩვენმა ენათმეცნიერმა მიიტაცა ის პრეროგატივები, რომელნიც აღემატებიან კიდევაც ენათმეცნიერების კომპეტენციას და უფლებას“**. ვერ დავეთანხმებით მწერალს ამ შეფასებაში (ზოგჯერ ნორმათა კომისიის გადაწყვეტილებებსაც იწუნებს — **„მიაჩუმათეს მტკივნეული პრობლემები, რომელთა გამოც ვდავობდითო“**...), მაგრამ **მნიშვნელოვანი ისაა,** რომ საუკუნის წინანდელ საქართველოში **დედაენის სიწმინდისათვის ბრძოლის ფრონტზე ყველაზე მეტად სწორედ ქართული მწერლობა აქტიურობს!**

„დროულია ქართული ენის ნორმირებისთვის ზრუნვაო“, — იტყვის კ. გამსახურდია და გზასაც ეძებს საუკუნის წინანდელ საქართველოში პრობლემის მოსაგვარებლად: „ენა ხომ ხალხის საკუთრებაა, მისი ერთობლივი მეტყველება, ამ მეტყველებას ერთნაირი ყალიბი უნდა, ერთ დიდ ხუროთმოძღვრების გეგმაზე აგებული. ვინ იქნება ეს ხუროთმოძღვარი? მწერლებისა და ენათმეცნიერების კონფერენცია“.

კ. გამსახურდიამ ეს იდეა 1928 წელს გააჟღერა (გაზეთი „კომუნისტი“, 25 მარტი); წარმოადგინა ამ კონფერენციის სახელმძღვანელო პრინციპები; გამოაქვეყნა საგანგებო წერილი; მისი აზრით, კონფერენციის აუცილებლობას ის განაპირობებდა, რომ **„დიდი დუღილი და ზრდაა ქართულ ენაში; ამ ენერგიულად წინ გაქანებულ ენის სტიქიას ყალიბი უნდაო“** (იქვე). **„მართლწერის კონფერენციის დასკვნებს ხელისუფლება დააკანონებს და აღსდგება ქართული ენის სისადავე და მშვენება... ამ კონფერენციაზე დიდი ენერგიის გაღება დასჭირდება ქართულ მწერლობასო,“** — წერდა კ. გამსახურდია...

ამ სერიოზულ ინიციატივას წინააღმდეგობა მწერალმა მ. ჯავახიშვილმა გაუწია; მართალია, ეთანხმება კოლეგას, რომ პრობლემები გამრავლდა, მაგრამ კონფერენციის იდეას არ იწონებს: **„სადავო ბევრი დაგროვდა. ფორმათა სიმრავლემ ანარქია შემოიტანა. დაირღვა საერთო გრამატიკა. დაიშალა მთლიანი ქართულიც, მისი აღდგენისთვის, ზოგის აზრით, საჭიროა მოწვევა ენის მცოდნეთა კონფერენციისა. ჩემი რწმენით, კონფერენციის მოწვევა ნაადრევია“**. მ. ჯავახიშვილიც ფიქრობს, რომ ქართული ენა დუღს; მაგრამ ეს პროცესი უნდა შენელდეს, საერთო ქართული ბუნებრივად ჩამოყალიბდეს, **„სადავოს უმეტესი ნაწილი თავისთავად გადაწყდეს და კონფერენციის მოწვევასაც მაშინ ექნება აზრი და გამართლება“**... როგორც ჩანს, ამგვარი კონფერენციის იდეას არც ენათმეცნიერები უჭერდნენ მხარს... დავობენ მწერლები, ვის უნდა მიეცეს უპირატესობა ამ დიდ ეროვნულ საქმეში, მწერლებს თუ ენათმეცნიერებს... როგორც ითქვა, მწერლებს არ ეთმობათ პირველობა... ენათმეცნიერები დავაში ფაქტობრივ არ ერთვებიან — საქმეს აკეთებენ... არსებითი ამ შემთხვევაში ისაა, როგორც ვთქვით, რომ **საუკუნის წინანდელ საქართველოში სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ავანგარდში ქართული მწერლობაა...** კრიტიკა და თვითკრიტიკა — მათი დევიზია...

დღეს? დღეს მწერლობა გავიდა ამ ბრძოლის ველიდან... მეტიც, საკმაოდ დიდ პრობლემებსაც ქმნის... კ. გამსახურდია ილიას დროინდელ საქართველოს იხსენებს და ნატრობს: **„ჩვენი თანადროული მწერლობაც ასევე გულმოდგინედ უნდა ეკიდებოდეს ენის სიწმინდისათვის ბრძოლასო“**... ჩვენ რაღა გვეთქმის XXI საუკუნის დასაწყისში?!...

„ქართულ ლიტერატურულ ენას ქართველი ინტელიგენცია ჰქმნიდა და ეხლაც იგივე ჰქმნის, მაგრამ თუ რამ ირყვნება და ლპება, ესეც უმეტესად მასვე უნდა მიეზღოს... ამ ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილი თითქო დამუნჯდა: ენას უკიდებს, ბორძიკობს, წამებით ეძებს სიტყვას, ძლივს პოულობს, უმალვე ჰკარგავს და ისევ ეძებს, მუდამ ეძებს. მისი ქართული გახმა, მოიკრუნჩხა, დაიხლართა, დამძიმდა. აღარც ძველი ნათელობა შერჩა, არც გამჭვირვალობა, არც მკაფიობა და მოქნილობა, რაც ხუთი სიტყვით ითქმის, ათიც ძლივსღა ჰყოფნის“. „ქართულ ენას სისხლი ეწამლება, თუ დროზედ არ მივეშველეთ, მერე გვიანღა იქნება“...

მ. ჯავახიშვილი



„შეუწყნარებელი თვითნებობაა მართლწერის მხრით გამეფებული, როგორც სახელმწიფო უწყებათა მეტყველებაში, ისე პრესაში, მწერლობაში და თვით სამეცნიერო ლიტერატურაში“; „ქართული ინტელიგენცია უნდა ამოძრავდეს, დაუდევრობა უდიდესი სენია დღევანდელი ქართველობისა, სწორედ მეტყველებაში იჩენს, უწინარეს ყოვლისა, ამ დაუდევრობას ქართველი კაცი“.

კ. გამსახურდია

ერთ-ერთ ჩემი თაობის მწერალს ამ თემაზე რომ ვესაუბრებოდი, ღიმილით მითხრა, ამაზე თქვენ იფიქრეთ — ენათმეცნიერებმაო... მძიმე ვითარებაა...

არადა, საუკუნის წინანდელ საქართველოში ასე ფიქრობდნენ:

მ. ჯავახიშვილი: „მარტო გრამატიკოსს ჯერ არსად შეუქმნია ენა. საჭიროა დიდი შემომქმედიც, ან თავდაპირველად შემომქმედი, რომელიც სანიმუშო დროშას ჰქსოვს ეპოქისათვის და მებრძოლ ლაშქარსაც, ბედმა თუ განგებამ, უცებ მოუვლინა მედროშე“.

კ. გამსახურდია: „ჩვენი ენათმეცნიერები ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეჯერდნენ იმ საპატიო როლს, რომელიც მათ მიანიჭა განგებამ; ისინი ენის აგრონომებია და არა ბაღის გამშენებლები... ენის განვითარებას მწერალი აძლევს გეზს... დიდი მწერალი რეფორმატორია ნაციონალური ენისა. ენათმეცნიერი სწავლობს და ახარისხებს მწერლის მიერ მოპოვებულ მიღწევებს“.

ასე ფიქრობენ ენათმეცნიერებიც:

არნ. ჩიქობავა: „სალიტერატურო ენას მწერალი ქმნის... ენათმეცნიერი ენის რაობას, ენათა ცვლის ისტორიას იკვლევს, სამწერლობო ენის მეურნეობას უვლის... სამწერლობო ენის განვითარების საკითხებს შეისწავლის ენის სპეციალისტი, ენათმეცნიერი... ერთი სიტყვით, ენათმეცნიერს სწორი დიაგნოზის დასმა ევალება“...

მწერალთა სერიოზულ მონაწილეობაზე ამ დიდ ბრძოლაში მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება... ნორმალიზაციის პროცესის საჭიროებისა და კანონზომიერების აუცილებლობის შესახებ მ. ჯავახიშვილი გვირჩევს: **„ცხოვრების ყველა დარგში შეესაძლებელია და ზოგჯერ საჭიროც არის, რომ კანონი წინ უძღოდეს ფაქტს. მაგრამ ძალიან სახიფათოა, თუ ენის დარგშიც კანონმა გაუსწრო ფაქტს. ძალიან ადვილია ამა თუ იმ ფორმის დაკანონება, მაგრამ უფრო ძნელია მისი გადახალისება, თუ იგი სინამდვილემ მოითხოვა, და ანარქიის მოსპობის ნაცვლად არევ-დარევა უფრო გაძლიერდება“**... ეს ფაქტობრივ სახელმძღვანელო დებულება იყო... ვიქრობ, სერიოზულად გასათვალისწინებელი ჩვენთვისაც (**ენის დარგში კანონმა არ უნდა გაუსწროს ფაქტს!**)...

საუკუნის წინანდელ საქართველოში მწერლები და ენათმეცნიერები ერთად იბრძოდნენ... ეს სადღეისო გაკვეთილია, მაგრამ... გაკვეთილს სწავლა უნდა...

ესეც სადღეისო შეძახილია:

„ჩვენი სინამდვილე მოითხოვს, **ქართველმა მწერლებმა ამოიღოს ხმა ქართული ენის დამახინჯების გამო“**... მაგრამ ეს ხდებოდა საუკუნის წინანდელ საქართველოში...

თავისთავად, სალიტერატურო ენის ნორმირების პროცესში მწერალთა აქტიური მონაწილეობა საუკუნის წინანდელ საქართველოში **სწორი ენობრივი პოლიტიკის** უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი იყო...

და ეს იყო ასევე მნიშვნელოვანი სადღეისო გაკვეთილიც...

* * *

სალიტერატურო ენის ასპარეზზე სიწმინდისათვის ბრძოლაში არავინ უნდა დავინდოთ — ეს მწერალთა მიერ წამოყენებული მთავარი პრინციპია.

მ. ჯავახიშვილი: „არავის არ უნდა მოვერიდოთ და ენის დაგონჯებისთვის პასუხი უნდა მოვთხოვოთ... შეცდომის მხილება მხოლოდ გულნამცეცას ეწყინება... დროა, ჩვენივე მეოხებით აღრეული ენა ჩვენვე გავცხრილოთ და გავასუფთაოთ“... სხვა: „ერთმანეთის დანდობას და ზედმეტ თავაზიანობას ვნების მეტი არა მოაქვს რა. არც მე ვინდობ და ნურც მე დამინდობენ!“...

კ. გამსახურდია: „ენა ერისა და მისი კულტურის წმიდათა წმიდაა. იგი არავის ამბიციების საგანი არ უნდა გახდეს, ამიტომაც ნურას უკაცრავად, თუ ამ საკითხების გამო დავის დროს არავის ავტორიტეტს არ მოვერიდოთ“.

ეს დიდი **ილიას** მიერ დამკვიდრებული ტრადიცია იყო: **„სხვისა არ ვიცით და ჩვენკი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებასო“** — ბრძანებდა...

და არც არავის ერიდებიან ჩვენი კლასიკოსები: საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს „აკონტროლებენ“, ყურადღებას აქცევენ... და ეს იყო XIX საუკუნის უკეთესი ტრადიციის გაგრძელება (გავიხსენოთ თუნდაც აკაკისა და იაკობის, აკაკისა დ ვაჟას პოლემიკები ენობრივ საკითხებზე)... აი, **ეს ტრადიცია დავკარგეთ...**

მთავარი დარდი ჩვენი კლასიკოსებისა: „ქართველმა მწერალმა არ იცის ქართული ენა. იგი იოლად მიდის იმ ცოდნით, რომელიც გამოაყოლა თავისმა პროვინციამ“...

კლასიკოს მწერალთა ინტერესი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის თითქმის ყველა ძირითად სფეროს მოიცავს; როცა მწერლობაზე საუბრობენ, მთავარი საფიქრალი **თარგმანია**:

მ. ჯავახიშვილი: **„მეტად საგულისხმოა, რომ ამავე ავტორების ორიგინალური ნაწერის ქართული ათჯერ სჯობია ნათარგმნს... ეს ცხადათ ადასტურებს, რომ ქართულს უმთავრესად თარგმანი რყვნის — წიგნიდან გადმოთარგმნილიც და უცხო ენაზე მოაზრებულ-გადმოქართულებულიც“.**

კ. გამსახურდია: **„უნდა ითქვას, რომ მეტყველების დაუდევრობა თვალსაჩინოდ ეტყობა ჩვენს მწერლებსა და ჩვენს მთარგმნელებს“** ენის სიწმინდისათვის თუ რა საფრთხეს წარმოადგენს თარგმანი, ამის „კარგი“ მაგალითია დღეს მომრავლებული ნაჩქარევი სერიული გამოცემები... თუმცა, ვის ადარდებს!..

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი ენის სიწმინდის შერყვნის საქმეში განუზომელია. ცხადია, იმდროინდელ საქართველოში აქ მხოლოდ პრესა იგულისხმება.

მ. ჯავახიშვილი: **„ენის შემუშავებაში ერთ რომელიმე გაზეთს ათჯერ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მთელ მხატვრულ ლიტერატურას“;** ანდა — **„ვიტყვი: მწერალი გაზეთს მხოლოდ გაკვრით უნდა ათვალიერებდეს... საგაზეთო ქართული ღარიბია, მოუქნელი, ბნელი და ერთფეროვანი“...**

კ. გამსახურდია; **„ყველაზე საგანგაშო საკითხია ჩვენი პრესის მიერ ქართული ენის დამახინჯება და ჩვენ თუ სათანადო ზომები არ მივიღეთ, ეს სახიფათო ამბავს უქადის ქართულ მწერლობას“. გაზეთ „კომუნისტის“ შესახებ: „ქართული ენა წარყვნეს. გაზეთი „კომუნისტი“ ეს არის ზარბაზანი, რომელიც ასი ათასიანი ტირაჟით გამოდის“,** ამიტომაააო საშიში...

* * *

ПРОБЛЕМА — **თეატრი**:

მ. ჯავახიშვილი: **„ქართულ თეატრში ნამდვილ ქართულ ენასა და კილოს მაგივრათ ყოველნაირ კილოსა და გამოთქმას გაიგონებთ... მაგრამ კილოს ვიღა ჩივის, საანბანო გრამატიკული კანონებიც კი არა სწამთ და ყოველ ნაბიჯზე ისეთს შეუსაბამობას წამოისვრიან ხოლმე, რომ ქართული ენის მოყვარულს ორივე თითი მუდმივ მზათ უნდა ჰქონდეს ყურების დასაცობად“...**

კ. გამსახურდია: **„ქართული თეატრი იყო, არის და იქნება ჩაუქრობელი ლამპარი ქართული ენისა და ისეთი გულგრილი დამოკიდებულება სცენიდან ქართულ ენისადმი ყოვლად დაუშვებელია“. მსახიობები „გამოდიან ისეთი დეკლამაციით, რომ მათ მოსმენას სჯობია, კაცმა ყურები დაიცოს“; „მსახიობები სიტყვებს ყლაპავენ“...**

აქ კიდევ ერთი პრობლემაა — **ბილწსიტყვაობა**. 1905 წელს წერდა მ. ჯავახიშვილი: **„პიესა „ჩვენი ნაცნობები“ სცენები კა არა, ნამდვილი პორნოგრაფიული, უშინაარსო და ცინიკური ფარსია... აქა-იქ ჩაურთავს უშვერი, „უცენზურო“ სიტყვები... და ეს მყრალი თაიგული ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისთვის ჩაუბარებია... იმანაც საზოგადოებას მიართვა და იმდენი უტაქტობაც გამოიჩინა, რომ პიესიდან არ ამოშალა და წამოიძახა მყრალი სიტყვა, რომელმაც მთელი დამსწრე საზოგადოება გააწითლა... ამ პიესის დადგმა დიდი დანაშაულია საზოგადოების წინაშე“...**

დღეს რაღა გვეთქმის ჩვენი ტელევიზიებისა, ზოგიერთი „თეატრისა“ და „მწერლის“ შემყურეს...

* * *

ქალაქის იერ-სახე იყო, არის და, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, იქნება კიდევაც კარხა ხანს პრობლემა... ასე იყო საუკუნის წინანდელ საქართველოში:

მ. ჯავახიშვილი: **„მაღაზიებისა და დაწესებულებების წარწერებმა ხომ აბუჩად აიგდეს ქართული და ეროვნული ენისაგან მხოლოდ ქართული ასოებიღა დაგვიტოვეს... სჯობია, ქართული წარწერა სულ არ იყოს, ვიდრე ჩვენი ენა ასე აშკარად გაითელოს... წარწერების (ფირნიშების) შესახებ რამდენჯერმე გამოვიდა შესაფერისი დადგენილება, მაგრამ ამსრულებელი არავინ არ არის“... „სჯობს, სრულებით არაფერი დაიწეროს ქართულ ენაზე, ვიდრე ასეთი წარწერებით აჭრელდეს ქალაქი“...**

კ. გამსახურდია: **„როცა ადამიანი თანამედროვე, კეთილმოწყობილ ქალაქში შედის, მას, უწინარეს ყოვლისა, თვალში ეცემა ამ ქალაქის აბრები. უცხოელები და ბავშვები ამ აბრების წარწერებზე სწავლობენ ენას... ნურვის ჰგონია, ეს უმნიშვნელო რამ იყოს“...**

მე მგონი, ეს პრობლემა დღეს უფრო მწვავედ დგას...

* * *

СКОЛА და სასკოლო სახელმძღვანელოები:

კ. გამსახურდია: **„როცა ქართულ ენას და ქართულ სკოლას დიდი ასპარეზი გადაეშალა, სწორედ ჩვენი სკოლიდან უნდა დავიწყოთ უნიფიცირება ქართული მეტყველებისა და მისი აღბეჭდვა ჩვენი ახალი თაობის შემეცნებაში“ „იცემა აუარებელი ლექსიკური მასალა, სახელმძღვანელოები და ყველას თავისებური მართლწერა აქვს, ყველა ისე სწერს, როგორც მოეპრიანება“** ...

მ. ჯავახიშვილი: **„გასაკვირველია, ასე რად დამახინჯდა ჩვენი სახელმძღვანელოები“ (წ.632)... „ასე სწერდა (...) სახელმძღვანელოს ავტორი და ამ ენაზე იზრდება ჩვენი მომდევნო თაობაც... ვკითხულობთ, ვითმენთ და... ვინელებთ...“.**

და მწერალი ენობრივი თვალსაზრისით განიხილავს ქართულისა და ისტორიის სახელმძღვანელოებს... ესეც მწერლის ინტერესის სფერო იყო...

* * *

ДИАХ, სიწმინდისთვის ბრძოლა ფართო მასშტაბებს იძენდა; აცხადებდნენ: „სატერმინოლოგიო კომიტეტი დროგამოშვებით ქართული ენის უდავო დამახინჯების მაგალითებს პრესაში გამოაქვეყნებს და პასუხისგებას მკითხველის წინაშე ავტორებს, რედაქტორებს და გამომცემლებს აკისრებს“... და ყოველივე ამას სასურველი შედეგი მოჰყვა; ამან **„ერთგვარი გავლენა მოახდინა ავტორებზე, რომელნიც იძულებულნი იყვნენ, თავიანთი ქართულისათვის მეტი ყურადღება მიექციათ“...**

იყო ასე XX საუკუნის დასაწყისში...და ყოველივე ამას დღესაც „ვკითხულობთ, ვითმენთ და... ვინელებთ...“.

დასკვნასავით:

საუკუნის წინანდელ საქართველოში ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლაში ფართო ფრონტი იყო გაშლილი: ხელისულება, ქართველი მწერლები და ენათმეცნიერები... ვითარებას შეძლებისდაგვარად აწესრიგებდა საკანონმდებლო ბაზა — კონსტიტუციის ნორმა... ბრძოლის ავანგარდში მწერლობა იდგა...

დღეს გვაქვს კონსტიტუცია, კანონი სახელმწიფო ენის შესახებ და სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, მაგრამ...

ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის საქმეში XX საუკუნის დასაწყისში თუ სანატრელი იყო XIX საუკუნის ვითარება („ჩვენი თანადროული მწერლობაც ასევე გულმოდგინედ უნდა ეკიდებოდეს ენის სიწმინდისათვის ბრძოლასო“ — კ. გამსახურდიას ნატვრა), XXI საუკუნის დასაწყისში საუკუნის წინანდელი ვითარებაა სანატრელი...

გიორგი გოგოლაშვილი

(ტ. 599 518493)

გერმანელი პეტერ ნიუმანი ქართველ კოლეგებს აქებს

ჩემს კოლეგასთან ერთად, გუშინ ორი საათის განმავლობაში ვაშლიჯვრის ტერიტორიაზე იმ ადგილზე ვიყავი გასული, სადაც არის ნაპრალი. ჩვენი შეხედულებით საკითხი არის ძალიან კომპლექსური, რომლის გადაჭრის ერთი კონკრეტული გზა არ არსებობს, — ეს განცხადება გერმანიიდან მოწვეულმა სპეციალისტმა პეტერ ნიუმანმა თბილისის მერიაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

— ის უსაფრთხოების ზომები, რომელიც არის განხორციელებული, ვაშლიჯვრის ფერდობზე, აბსოლუტურად სწორია. კერძოდ მუხრან მაჭავარიანის გზის დაკეტვა და მოძრაობის შეზღუდვა არის მართებული. ესაა ინიციერების ფაზა, შესაძლო მასშტაბური მეწყრის. უნდა განვახორციელოთ პირველადი ზომები. ამ ზომებში შედის გასამაგრებელი სამუშაოები, დრენაჟები და მონიტორინგის ზომები. რა თქმა უნდა, უნდა გამოვიჩინოთ დიდი ყურადღება, დავეყრდნოთ გეოლოგიურ კვლევებსა და მივიღოთ ზომები, — განაცხადა გერმანელმა სპეციალისტმა.

ამასთან, პეტერ ნიუმანმა თქვა, რომ ძალიან ბევრი ქანია გამოთავისუფლებული, რაც ართულებს სამუშაო პროცესს. **„რა თქმა უნდა, მოხდება ამ პროცესის იდენტიფიცირება და შემდეგ უკვე შესაბამისი ზომების მიღება“.**

15 მილიონი დოლარი თბილისის მეტროს განახლებისთვის...

აზიის განვითარების ბანკის (ADB) 15 მილიონ დოლარიანი პროექტის ფარგლებში, თბილისის მეტროში 500 კმ სიგრძის მოძველებული ძალოვანი სადენები და ვენტილაციის სისტემა განახლდა. ADB-ის ცნობით, მიღებული ზომები მგზავრებს ხანძრის საშიშროებისგან იცავს და ჰაერის ხარისხს აუმჯობესებს.

ADB-ის პროექტის შედეგად თბილისის მეტროში ყოველდღიურად 500,000 მგზავრი ახლა უფრო უსაფრთხოდ გადაადგილდება. მეტროს მოძველებული ძალოვანი სადენები და ვენტილაციის სისტემა გამოცვლას საჭიროებდა. მთავრობის ურბანული განახლების სტრატეგიის შესაბამისად, მთავრობის მიმართვის საფუძველზე აზიის განვითარების ბანკმა მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დაამტკიცა თბილისის მეტროს რეაბილიტაციის 15 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროექტი.

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ირაკლი გოგავა ამბობს, რომ სააკაშვილის რეჟიმისთვის საქართველო ფულის შოვნის და ძალაუფლებით ტკბობის საშუალება იყო. ხალხის, ბიზნესის ინდუსტრიული მასშტაბის ძარცვას ქვეყნის ტერიტორიების, სიმდიდრის და წიაღისეულის უცხოელებზე გაყიდვა მიაყოლა.

დავითგარეჯის ნაწილში მატერიალური დაინტერესების გარდა, შენელებული მოქმედების ნაღმის ჩადებაც იყო განზრახული მაშინდელი ოფიციოზის მხრიდან. საზღვრის დამდგენი კომისიის მუშაობა სწორედ სამშობლოს გაყიდვის კლასიკური მაგალითია.

დღეს ირაკლი გოგავა გვესაუბრება.

ირაკლი გოგავა: სავარაუდოდ, გარე ძალების გავლენით მოხდა ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებში „დამპალი თესლის“ ჩაგდება

— ბატონო ირაკლი, საზოგადოებაში არ ცხრება ვნებათაღელვა დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის და საზღვრების დამდგენი სახელმწიფო კომისიის მუშაობის შედეგების გარშემო. მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, საქმის მასალებიდან გამომდინარე გაიზრდება ბრალდებულთა წრე. ე.წ. საუკუნის საქმე, სადაც პირდაპირ იკვეთება სამშობლოს ღალატის ფაქტი, პოლიტიზირებას ვერ აცდა. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ პროცესებს?

— საქართველოს ისტორიაში ღალატის ბევრი ფაქტი ყოფილა. ყოფილან ისეთი პერსონაჟები, მაგალითად, იასე ფალავანდიშვილი, რომელმაც 1832 წლის სოლომონ დოდაშვილის, ალექსანდრე ორბელიანის, ელიზბარ ერისთავის და სხვა ქართველი მამულიშვილების პატრიოტული შეთქმულება გასცა. იყო კახაბერ ყორღანაშვილი, რომელიც ყიზილბაშებს მოუძღოდა, მტერს სიმონ მეფეზე მიუთითა და სიმონ პირველი შუბით განგმირეს. იყო სერგო ორჯონიკიძე, რომელიც წითელ არმიას შემოუძღვა და დაასრულა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო.

ისტორიაში ყოფილა ბევრი ომი, ბრძოლა, ოკუპაცია, ბრძოლით დაგვიკარგავს ტერიტორიები, როცა თავს ზემოთ ძალა აღარ იყო, მაგრამ არ მახსენდება ფაქტი, როდესაც ქართული მიწა ქვეყნის მმართველს პირდაპირ გაეყიდოს. საზღვრის დამდგენი კომისიის მუშაობა სწორედ სამშობლოს გაყიდვის კლასიკური მაგალითია. ტრაგედია კი ის არის, რომ ამის ჩამდენ ადამიანებს პრეტენზია აქვთ, დიდ გულზე არიან და თეთრზე შავს გვიმტკიცებენ.

— გარდა იმისა, რომ არაკომპეტენტურები არიან, აჩვენეს, რომ ყველაფერზე არიან წამსველელები. თავისთავად საინტერესოა, როგორ აღმოჩნდნენ კომისიაში?

— სააკაშვილის რეჟიმისთვის საქართველო ფულის შოვნის და ძალაუფლებით ტკბობის საშუალება იყო. ასეთ ხალხს სპეციალურად არჩევენ წინასწარ. ხალხის, ბიზნესის ინდუსტრიული მასშტაბის ძარცვას ქვეყნის ტერიტორიების, სიმდიდრის და წიაღისეულის უცხოელებზე გაყიდვა მიაყოლეს. გაუგონარი ამბავია, რუკები გადამალეს, რომ საქართველოს დაეკარგა ისტორიული ტერიტორიები. ვფიქრობ, რომ მატერიალური დაინტერესების გარდა, საზღვრის საკითხში შენელებული მოქმედების ნაღმის ჩადებაც იყო განზრახული მაშინდელი ოფიციოზის მხრიდან.

— რა ძალების ინტერესში შედიოდა შენელებული ნაღმის ჩადება?

— სავარაუდოდ, გარე ძალების გავლენით მოხდა ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებში დამპალი თესლის ჩაგდება, რომელსაც უკვე დღეს მოაქვს არცთუ ისე პოზიტიური შედეგები ორი ქვეყნის ურთიერთობებში. სააკაშვილის დანაშაული გასაგებია, სწორედ ის იყო გადაწყვეტილების მიმღები — მის გარეშე წარმოუდგენელია ასეთი საკითხი ვინმეს გადაეწყვიტა. მაგრამ სამწუხაროა, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ვერ გათვალა ეს, არადა, უნდა გაეთვალა და უარი ეთქვა ასეთ მოლაპარაკებაზე.

საქართველოსგან გასხვავებით, აზერბაიჯანის ხელისუფლება ილჰამ ალიევის ხელმძღვანელობით მკაფიოდ მიუყვება თავისი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე აგებულ პოლიტიკას შინ და გარეთ. ამიტომ ორმაგად გასაოცარია, რომ ბაქოდან დაუშვეს საქართველოსთან მომავალ ურთიერთობებში ხინჯის გაჩენის ალბათობა. სავარაუდოდ, აზერბაიჯანული სტრუქტურების ქვედა რგოლების „დამსახურებაა“, რაც მოხდა. დაინახეს, რომ საქართველოს ხელისუფლება მზად არის საქართველოს ტერიტორიები დათმოს ფულის თუ ბიზნეს წილების სანაცვლოდ და დახარბდნენ ამ სიტუაციას, მაგრამ ეს მაინც არ უნდა დაეშვათ.

ილჰამ ალიევმა ყველაზე კარგად იცოდა და იცის სააკაშვილის უპასუხისმგებლობა და სიხარბე. ეს ნაბიჯი ბაქოს მაინც არ უნდა გადაედგა. საზღვრის საკითხი დასრულებული არ არის და თბილისსაც და ბაქოსაც საშუალება აქვთ საკითხი ღირსეულად მოაგვარონ, როგორც ეს კეთილმეზობლებს და სტრატეგიულ პარტნიორებს შეეფერებათ, ანუ 1994 წლის შეთანხმების მიხედვით, რომელიც 1938 წლის რუკაზეა დაფუძნებული.

— 2007 წელს ერთ-ერთ თავის ინტერვიუში მაშინდელი პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებდა, რომ საზღვრის მიმდებარე სტრატეგიული სიმაღლეები აზერბაიჯანის მხარეს მოხვდება, რადგან მათ ეს სჭირდებათო. როგორ უნდა შეფასდეს მსგავსი მიდგომა?

— როგორც ქვეყნის ღალატი და სიხარბეზე დაფუძნებული არაკომპეტენტურობა, გამყარებული დასავლეთიდან მიღებული სრული კარტ-ბლანშით. დღეს რომ დახედოთ საზღვრის ხაზს, თუნდაც გუგლის ელექტრონულ რუკაზე, ნახავთ, რომ სიმაღლეებთან სამკუთხედებია შემოჭრილი საქართველოს ტერიტორიაზე. სავარაუდოდ, ეს სააკაშვილის, მელაშვილის და ილიჩოვა-ბადალიანის „შემოქმედების“ ნაყოფია. ეს ხელისუფლება კი უკვე 9 წელია მართავს ქვეყანას და მხოლოდ ბოლო წელიწადია, რაც ეს თემა ირაკლი ღარიბაშვილის აქტიურობით გაიხსნა. მანამდე 8 წლის განმავლობაში მელაშვილი წყნარად მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში.

— აქ ჩნდება ძალიან მარტივი კითხვა — რატომ ინარჩუნებდა ამ კადრს საგარეო საქმეთა სამინისტრო?

— ეს კითხვას აჩენს ამ უწყების ყველა ხელმძღვანელის მიმართ. მეზობელ ქვეყანასთან დაუდგენელი საზღვრის საკითხზე უფრო მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს, რომ არ ამოიკითხო ეს ამბავი?! მიუხედავად ძლიერი საკადრო რესურსისა, რომელიც საგარეო სისტემას ჰყავს ელჩებად, დიპლომატებად, ეს სტრუქტურა წლებია პროტოკოლის სამსახურის ფუნქციას უფრო ასრულებს, ვიდრე საგარეო-პოლიტიკურს. მათგან ამ საკითხში პოზიტივის მოლოდინი არ მაქვს, ეს, უბრალოდ, აღემატება მათ მასშტაბებს და შესაძლებლობებს. ეს თემა პრეზიდენტმა და პრემიერმა უნდა „გაქაჩონ“. აზერბაიჯანთან ურთიერთობების აქსელერაცია აუცილებელია, მით უფრო ყარაბაღის ცხელი ფაზის შემდეგ, რაც სრულიად ახალი რეალობა გაჩნდა.

— ფიქრობთ, რომ აზერბაიჯანთან ურთიერთობების განახლებაა საჭირო? რას გულისხმობთ ურთიერთობების აქსელერაციაში?

— დარწმუნებული ვარ, რომ აზერბაიჯანთან საზღვრის თემა დალაგებადია, თუ საქართველოდან სერიოზული ხალხი ჩაერთვება და არ მოხდება სიტუაციური ლავირება. აქ პირადად პრემიერის როლს მკაფიოდ ვხედავ. შევარდნაძეს და ჰეიდარ ალიევს სხვა შეთანხმებები ჰქონდათ, რომელიც შემდგომ სააკაშვილმა გაყიდა. მაშინ ნავთობტერმინალები ბაქოშიც და შავი ზღვის სანაპიროზე ქართული მხარის იყო, შეთანხმებული იყო თანამედროვე იაპონური ტექნოლოგიებით ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის გახსნაც სუფსაში.

— და რატომ არ შედგა შეთანხმება?

— წინა ხელისუფლების უუნარობის და სიხარბის გამო ტერმინალები ახლა „სოკარის“ არის და ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა აზერბაიჯანმა თურქეთის ჯეიჰანში გახსნა. ამავე დროს „სოკარი“ საქართველოს საავტომობილო საწვავის საცალო ბაზრის თითქმის მეხუთედს ფლობს. აზერბაიჯანმა მიიღო უდიდესი პრეფერენციები საქართველოს ბაზარზე და გააჩინა ლეგალური ფულის დიდი ბრუნვა ქვეყანაში, რითაც საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა ზოგიერთ რეგიონში.

— ყარაბაღის კონფლიქტი რა ახალ შესაძლებლობებს აჩენს ჩვენს რეგიონში?

— ვფიქრობ, აზერბაიჯანის და სომხეთის ხალხები მალე დაიწყენენ დიალოგს და ეკონომიკურ თანამშრომლობას. უკვე შეთანხმდნენ სატრანსპორტო დერეფნების ურთიერთგაცვლაზე. სომხეთი სტეფანაკერტს უკავშირდება, ხოლო აზერბაიჯანი ნახჭევანს სომხური ზანგეზურის პროვინციის გავლით. ჩვენ უნდა დავიწყოთ ფიქრი „კავკასიური სამეულის“ ჩამოყალიბებაზე — ჯერჯერობით დიალოგის პლატფორმად, შემდეგ კი ბევრი სათანამშრომლო თემა გამოჩნდება. თუ სამივე ქვეყნის ელიტები სიბრძნეს გამოიჩენენ, შესაძლებელია, მინი ევროკავშირის ჩამოყალიბება. ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს გლობალური ძალები „გვათრევენ“ ისე, როგორც მოესურვებათ და ჩვენი საუკეთესო აქტივები მათ ხელში გადადის ნაბიჯ-ნაბიჯ.

ახლა სასამართლო სისტემის წაღებაც მოინდომეს კანონის უზენაესობის ლამაზი ლოზუნგის საფარქვეშ. ელიტის მოსყიდვით, ბულინგით, რეალისტურად მოაზროვნეების მიჩქმალვით, თუ მე-ნ კოლონის დაფინანსებით ახერხებენ საკუთარი ინტერესების გატარებას, ზოგ შემთხვევაში, ჩვენი ეროვნული ინტერესების ხარჯზეც. აზერბაიჯანსაც არ აქვს სტერილურად საქმე — რამდენჯერმე სცადეს იქ ხელისუფლების დამხობა უახლეს ისტორიაში და კიდევ შეეცდებიან, თანაც აუცილებლად. ამიტომ ერთ პლატფორმაზე გაერთიანება ბევრ ხათაბალას აგვარიდებდა ჩვენც, აზერბაიჯანსაც და სომხეთსაც.

— „კავკასიურ სამეულს“ როგორ უყურებთ, რა ნაწილში ხედავთ ურთიერთობის გაღრმავებას?

— „კავკასიურ სამეულს“ მე უფრო ვუყურებ, როგორც ეკონომიკურ გაერთიანებას, ერთიან ბაზარს, სადაც ერთიანი ეკონომიკური სივრცე, ხარისხის სტანდარტები მოქმედებს და საგარეო ვაჭრობაში ერთიანი პოლიტიკით გამოდის. ერთად უფრო ეფექტურად დავიცავთ თავს გიგანტური ძალებისგან, მაგრამ ამავე დროს ეს არ ნიშნავს აღრევას და უკონტროლო მისვლა-მოსვლას. ამ სქემას დეტალურად უნდა დამუშავება. ასეთი გაერთიანება აფხაზებისთვის და ოსებისთვისაც შეიძლება საინტერესო გახდეს.

წარმოვიდგინოთ: აზერბაიჯანის ენერგეტიკული და ფინანსური რესურსები, სომხური დიასპორების გავლენები და ფინანსური რესურსები, საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალი და მდებარეობა შავ ზღვაზე. ეს სერიოზული 17 მილიონიანი ინტეგრირებული კონგლომერატი იქნება, რომელსაც ვეღარ გაუბედავენ იმას, რასაც დღეს მეტ-ნაკლებად უბედავენ ყველას ცალ-ცალკე. ამ სივრცეში მეცნიერულ დონეზე შეიძლება შრომის სამართლიანი დანაწილება. ვინ რას აწარმოებს?! სად და როგორ ყიდის?! რა ენერგიაა საჭირო და რა წყაროებიდან?! სად არის განათლების ცენტრები?! სამედიცინო ცენტრები, ფარმაცევტიკა, კვების მრეწველობა, ქიმიური მრეწველობა, მეტალურგია, ოპტიკა, ავეჯის წარმოება, კერამიკა და სხვა. მეზობლებთან, ევროკავშირთან, ჩინეთთან, აშშ-სთან, ახლო აღმოსავლეთთან ურთიერთობები. „კავკასიური სამეული“ პოლიტიკის უმაღლესი პილოტაჟი იქნებოდა, მაგრამ მთავარი კითხვა შემდეგია — ჰყავს კი ამ სამ ჯერჯერობით სუვერენულ სახელმწიფოს დღეს ისეთი მასშტაბურად მოაზროვნე მთავრობები, რომ „კავკასიური სამეულის“ იდეა დაინახონ, შეაფასონ და განახორციელონ? არ მაქვს ამაზე პასუხი. არადა ერთობის გარეშე ცალ-ცალკე შეგვჭამენ და გავხდებით გიგანტური ძალების მომსახურე ბიომასა.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ვალეხ ჯარჩიევის და ჯეიხუნ ჯარჩიევის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:** ვალეხ ჯარჩიევი (პ/ნ 28001011070), მარნეული, ს. საბირქენდი, მე-14 ქ. №8;
ჯეიხუნ ჯარჩიევი (პ/ნ 28001017221), მარნეული, ს. საბირქენდი, მე-14 ქ. №8
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
მარნეული, ს. საბირქენდი (საკადასტრო კოდი: 83.03.18.307).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 54308.29 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 24 მარტი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 8 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP69940021;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 699400
6. **მოვალე:** ვალეხ ჯარჩიევი (პ/ნ 28001011070), მარნეული, ს. საბირქენდი, მე-14 ქ. №8;
ჯეიხუნ ჯარჩიევი (პ/ნ 28001017221), მარნეული, ს. საბირქენდი, მე-14 ქ. №8;
აზერ ახმედოვი (პ/ნ 28001036190), მარნეული, ს. ალგეთი;
ვუსალ ჯარჩიევი (პ/ნ 28001080656), მარნეული, ს. საბირქენდი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP69940021; ლოტის ნომერი: 699400).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 8 აპრილის 10:00 საათამდე.



ᲞᲣᲢᲘᲜᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘᲐ!

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ კონგრესმენმა ადამ კინზინგერმა განაცხადა, რომ რუსეთი ამერიკის მოკავშირე არ არის, ხოლო რუსეთის პრეზიდენტი მკვლელია.

„რუსეთი ჩვენი მოკავშირე არ არის, პუტინი მკვლელია. ტირანია ის, ვინც თავს ესხმის თავისუფლების მოყვარულ ხალხს და არჩევნებს. ის დაეხმარა სირიის პრეზიდენტ ასადს 50 ათასი ბავშვის მკვლელობაში სირიაში და ბელარუსში აქტივისტები აწამა. ის თესავს ქაოსს და მთელ მსოფლიოში დაუსჯელად იქცევა. მე ყოველთვის მხარს ვუჭერ ამერიკას“, – განაცხადა ამერიკელმა კონგრესმენმა.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ!

– ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა. მან აღნიშნა, რომ მედია სასაზღვრო კრიზისს სათანადოდ არ აშუქებს.

„თუ „დემოკრატებისთვის“ რამე ცუდი ხდება, მედია ამას არ აშუქებს. საოცარია. ნახეთ, როგორ აშუქებენ საზღვარზე შექმნილ კრიზისს“, – აღნიშნა აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა. დონალდ ტრამპმა ტელეკომპანიები NBC, ABC, CBS, CNN და MSNBC ამის მაგალითად მოიყვანა.

„ის, რაც საზღვარზე ხდება, სერიოზული ამბავია. ეს ჩვენს ქვეყანას გაანადგურებს. მედია კი ამას არ აშუქებს ან მცირე დოზით აშუქებს. საოცარია“, – განაცხადა მან.

ᲡᲠᲝᲚᲐᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ

აშშ-ში სროლას 10 ადამიანი, მათ შორის პოლიციის ოფიცერი ემსხვერპლა. ამერიკული მედიის ცნობით, შემთხვევა კოლორადოს შტატის ქალაქ ბოულდერში, სუპერმარკეტ King Soopers-ში მოხდა.

სამართალდამცველები ადგილზე მას შემდეგ მივიდნენ, რაც პოლიციაში შევიდა შეტყობინება, რომ სუპერმარკეტის სადგომზე შეიარაღებულმა კაცმა ცეცხლი გახსნა. ბოროტმოქმედმა შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებსაც ესროლა, რის შედეგადაც 51 წლის ოფიცერი ერიკ ტელი გარდაიცვალა.

საპასუხო ცეცხლის შედეგად თავდამსხმელი დაიჭრა, რის შემდეგაც ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. პოლიცია მის ვინაობას და დანაშაულის მოტივს ჯერჯერობით არ ასახელებს.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ჯემალ გელაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ჯემალ გელაშვილი (პ/ნ 01026013432), თბილისი, ვ. დოლიძის № 93
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქარელი, სოფელ ბებნისის მეურნეობა (საკადასტრო კოდი: 68.14.41.023).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10082.72 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 24 მარტი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 8 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP69953921;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 699539
6. **მოვალე:** ჯემალ გელაშვილი (პ/ნ 01026013432), თბილისი, ვ. დოლიძის № 93;
გიორგი გელაშვილი (პ/ნ 01026015198), თბილისი, ვ. დოლიძის № 93;
რუსუდან გელაშვილი (პ/ნ 01026014853), თბილისი, ვ. დოლიძის № 93.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP69953921; ლოტის ნომერი: 699539).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 8 აპრილის 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნინო ოქროპირიძის და შორენა ოქროპირიძის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. **უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:** ნინო ოქროპირიძე (პ/ნ 59001012760), გორი, ს. ტინისხიდი;
შორენა ოქროპირიძე (პ/ნ 59001046491), სიღნაღი, ს. ბოდბე.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
გორი, ს. ტინისხიდი (საკადასტრო კოდი: 66.44.04.065).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11817.16 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 24 მარტი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 8 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP69954121;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 699541
6. **მოვალე:** ბაგრატ ოქროპირიძე (პ/ნ 59001003717), გორი, ს. ტინისხიდი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP69954121; ლოტის ნომერი: 699541).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 8 აპრილის 10:00 საათამდე.



მუნდიალ – 2022

მაინც – იმედით...



სტოკჰოლმი ის ქალაქია, საიდანაც საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ახალი ფრანგი თავკაცის – ვილი სანიოლის მეთაურობით ხვალ საგაისო მუნდიალის საგზურისთვის საბრძოლველად შესარჩევ ტურნირში შვედებთან მატჩით ჩაებმება, რომელსაც ფრანგები იმსაჯებენ.

პირდაპირ უნდა ითქვას – რადგან სულ ოთხი თვეა გასული მაკედონელებთან თბილისში განცდილი შოკური მარცხის შემდეგ, ადვილი შესაძლებელია, „ჯვაროსნებს“ აღნიშნული ღრმა ფსიქოლოგიური ჭრილობა ხეირიანად მოშუშებული ჯერაც არ ჰქონდეთ, მაგრამ ვინაიდან პროფესიონალობაზე გაჩნიათ პრეტენზია, კეთილი უნდა ინებონ და სუფთა ფურცლიდან შეუდგნენ მორიგ აღმართს.

ძნელია? – რასაკვირველია, მაგრამ სხვა გზა არ აქვთ, რადგან ამას ავალდებულებთ ქართული ფეხბურთის სასახელო ტრადიციები და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უკანასკნელ ათწლეულებში და, განსაკუთრებით, ზემოთ უკვე ნახსენებ შარშანდელი 12 ნოემბრის საბედისწერო საღამოს კარგა გვარიანად შელახული თავმოყვარეობა.

გასათვალისწინებელია მეტოქის ფაქტორიც, რომელსაც მაშინ, როცა ქართულ პოლიტიკაში ექსპრემიერი გიორგი გახარია ბრუნდება, დამატებითი მოტივაცია გაუჩნდა ხუთწლიანი პაუზის შემდეგ გუნდში 39 წლის ლეგენდის – ზლატან იბრაჰიმოვიჩის მეორედ მოსვლით.

დაგვეთანხმებით, ამით ისედაც კერკეტ სკანდინავიელ კაკალთა საიერიშო პოტენციალი საგრძნობლად იზრდება, მაგრამ ჩვენ ჩვენი, მართალია, მოკრძალებული, მაგრამ მაინც რეალური ღირსებები გაგვაჩნია, რაც სარბიელზე სასურველ შედეგად უნდა ვაქციოთ.

ვფიქრობთ, ამონარიდები ვილი სანიოლის პირველი თბილისური პრეს-კონფერენციიდან გარკვეულწილად დაგიკმაყოფილებთ ცნობისმოყვარეობას, უფრო საფუძვლიანად საუბრის საშუალება კი მასთან, ვიმედოვნებთ, საბრძოლო ნათლობის შემდეგ მოგვეცემა:

„ვიწყებთ ახალ ეტაპს, როცა ყველაფერი ნულიდან აითვლება და კანდიდატებს თავიდან მოუწევთ იმის დამტკიცება, რომ ეროვნულ ნაკრებში თამაშს იმსახურებენ.

მომავალ თვეებში საქართველოში ბევრ დროს გავატარებ – იქნება როგორც გუნდების, ისე ფედერაციის წარმომადგენლებთან შეხვედრები და ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ჩამოვყალიბდებით. თვით ის ფაქტი, რომ საქართველოს ჩემპიონატიდან მოვიწვიეთ მოთამაშეები, ბევრ რამეზე მეტყველებს, საერთოდ კი საინტერესო ფეხბურთელები გვყავს, გამორჩეულად – წინა ხაზში.

სწორედ კონტინგენტის შესაბამისად შევარჩევთ ტაქტიკურ სქემას, ხოლო ჩემი ფილოსოფია, მოგეხსენებათ, შემტევი ფეხბურთია.

ჯერჯერობით არ მილაპარაკია ჩემს თანამემამულე ალენ ჟირესთან, რომელიც თქვენს ნაკრებთან 2004-2005 წლებში მუშაობდა, მაგრამ ვეცდები მალე შევხვდე საიმისოდ, რომ საქართველოს გუნდთან დაკავშირებით თავისი პირადი გამოცდილება გამიზიაროს.

რაც შეეხება ზლატანს, იგი დიდებული ფეხბურთელია და მე, როგორც მწვრთნელს, მიმაჩნია, რომ მის წინააღმდეგ თამაში დიდი მოტივაციაა და ეს ქართველ ფეხბურთელებს კარიერულ წინსვლაში გამოადგებათ.

ვიმეორებ, რომ აქ ჩამოსვლა ადამიანურმა ფაქტორმა გადამაწყვეტინა, რადგან დავინახე, რომ სფფ-ს ხელმძღვანელობას ჩემთან თანამშრომლობა სურდა.

და ბოლოს: ჩემი მიზანია, საქართველოს ნაკრების პრიორიტეტებად დისციპლინა და გუნდური თამაში ვაქციო. მოკლედ, რთულ ჯგუფში ვართ, მაგრამ რეალური ამბიციებით ვიწყებთ შესარჩევ ტურნირს“.

საქართველოს ნაკრები

მეკარეები: ლორია, მამარდაშვილი, კუპატაძე; **მცველები:** კაშია, კაკაბაძე, ხოჭოლავა, გრიგალავა, ტაბიძე, დვალი, გიორბელიძე, ჩაბრაძე; **ნახევარმცველები:** კანკავა (გუნდის კაპიტანი), კვეკვესკირი, აბურჯანია, ლობჟანიძე, ჯიღაური, პარუნაშვილი, კიტეიშვილი, კვარაცხელია, შენგელია, გვილია (უკანასკნელ მომენტში შეცვალა ტრავმირებული ოქრიაშვილი); **თავდამსხმელები:** ქვილითაია, მიქაუტაძე, ზივზივაძე, ბერიძე.

შვედეთის ნაკრები

მეკარეები: იონსონი, ნორდფელდტი, ოლსენი; **მცველები:** აუგუსტინსონი, ბენტსონი, გრანკვისტი (გუნდის კაპიტანი), ჰელანდერი, კრაფტი, ლუსტიგი, ნილსონი, ლინდელოფი, სტარფელტი; **ნახევარმცველები და თავდამსხმელები**: ბერგი, კლაესონი, ოლსონი, კაიუსტე, ეკდალი, ფორსბერგი, იბრაჰიმოვიჩი, ისააკი, კარლსონი, კულუშევსკი, ლარსონი, კუაისონი, სემა, სვანბერგი. **მწვრთნელი:** იანე ანდერსონი.

შეღავათი – ერთი ღამით!

„28 მარტს დაგეგმილ საერთაშორისო მატჩებს, რომლებიც გაიმართება რაგბსა და ფეხბურთში, საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სტადიონებზე დაესწრება გულშემატკივართა 30%. სარაგბო მატჩი რუმინეთთან გაიმართება 3 საათზე, ხოლო საფეხბურთო შეხვედრა ესპანეთთან დაიწყება 8 საათზე და მოხვდება შეზღუდვების პერიოდში. ამიტომ, ბილეთის ყიდვისას მყიდველს ავტომატურად მიენიჭება გადაადგილების უფლება, რაც უზრუნველყოფს გულშემატკივართა სახლში დაბრუნებას მატჩის შემდგომ“, - განაცხადა უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული ოპერატიული შტაბის უფროსმა **გიორგი ღიბრაძემ.**

◎ ევრობასკეტი

დატკბით, ქართველნო!

ხომ შემსუბუქდა კოვიდ-რეგულაციები და ხომ ამოძრავდა მუნიციპალური ტრანსპორტი?

ჰოდა, თუ თავს სპორტის გულშემატკივრად მიიჩნევთ და საკუთარი ავტომობილი არა გყავთ, კეთილი ინებეთ, გამონახეთ თავისუფალი დრო და ავტობუსით ან სამარშრუტო ტაქსით უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის, გნებავთ – საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიას ეწვიეთ, სადაც ჩვენს თვალწინ 24-საათიან რეჟიმში თბილისის კიდევ ერთი მშვენიერება იბადება.

საუბარია ევრობასკეტ – 2022-ის მასპინძელი ახალი მულტიფუნქციური სპორტის სასახლის მშენებლობაზე, რომელიც 10 ათას მაყურებელს დაიტევს და იქვე რამდენიმე წლის წინათ წამოჭიმულ ალექსანდრე ანპილოგოვის სახელობის ოლიმპიურ ნაგებობასთან ერთად უნიკალურ კომპლექსად მოგვევლინება, ამ ორი კონსტრუქციის ქვეშ კი პარკინგი მოეწყობა, როგორც ფიბას დებულება ითვალისწინებს.

პროექტის თანახმად, სამუშაოები ზაფხულისთვის უნდა დასრულდეს, მაგრამ ვინაიდან უკვე სარბიელის მოპირკეთება და შიდა პერიმეტრის კეთილმოწყობა მიმდინარეობს, ადვილი შესაძლებელია, ფინიშის ვადამ გადმოიწიოს და ობიექტი დამკვეთს გაზაფხულზევე ჩაბარდეს.

ეს ისე, შესავლის მაგიერ, ახლა კი უშუალოდ მომავალ ფორუმზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა, რომლის მონაწილეთა გადანაწილების პერიპეტიებიც კალათების მიხედვით უკვე გაგაცანით და ამ დღეებში მოუთმენლად ველოდებით კიოლნში გასამართავი წილისყრის შედეგებს.

ვიდრე ჯგუფურ რაუნდში „ჯვაროსანთა“ მეტოქეების ვინაობას შევიტყობთ, შეგახსენებთ, რომ ჩვენთან ერთად ძველი სამყაროს 24 რჩეული იტალიაში, ჩეხეთსა და გერმანიაში შეიკრიბება, ფინალი კი სწორედ ზემოთ დასახელებულ პრუსიულ ქალაქშია დანიშნული.

ამ დღეებში გაირკვა აგრეთვე, რომ, ფიბას დებულების შესაბამისად, ორგანიზატორ ქვეყანათაგან ჯერჯერობით ორმა თითო სტუმარი თვითონვე შეარჩია. ესენია ჩეხეთი, რომელმაც უპირატესობა პოლონეთის ნაკრებს მიანიჭა და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, გერმანია, სადაც პირველ ეტაპზე ლიეტუვას ვარსკვლავური გუნდი ითამაშებს.

როგორც მოგეხსენებათ, აღნიშნული უფლებით თავის დროზე სწორედ ბალტიისპირელებმა ისარგებლეს და ჩვენთვის სადებიუტო ევროფორუმზე გამოსვლას მათ უნდა ვუმადლოდეთ, ამიტომ ვიმედოვნებდით, რომ მეგობარი სახელმწიფოს წარმომადგენელთათვის მადლიერების გამოხატვის საშუალება ამჯერად ჩვენ მოგვეცემოდა, მაგრამ ასე არ მოხდა, რასაც, არაა გამორიცხული, ამ ბოლო დროს ჩვენს სამშობლოში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებში იქაურ დიპლომატთა და კანონმდებელთა არცთუ დელიკატური ჩარევა და ორ პარტნიორს შორის გაგრილებული ურთიერთობა განაპირობებდეს.

რასაკვირველია, მეგობრული რჩევისთვის მოკეთე საპასუხო დითირამბებს იმსახურებს, მაგრამ როცა დისტანცია ირღვევა და აშკარად იკვეთება შინაურ საქმეებში რომელიმე მოქიშპისადმი, მით უმეტეს – დესტრუქციული ოპოზიციური ძალისადმი, „უპრაგონო“ მხარდაჭერა, ასეთ შემთხვევაში ადეკვატური, თუნდაც ხისტი რეაქცია, არავის უნდა გაუკვირდეს.

არანაკლებ საფუძვლიანად გვესახება კომერციული ფაქტორი, რამაც, დიდი შანსია, განსაზღვრა კიდეც ჩვენი კანდიდატურის იგნორირება. როგორც ცნობილია, ლიეტუვას ნაკრებს ყველგან თან დაჰყვება ქომაგ თანამემამულეთა დიდი არმია. ჰოდა, გეკითხებით – კოვიდპანდემიის პირობებში საით უფრო გაუწევთ გული ევროპული წესრიგისადმი საბჭოთა პერიოდიდანვე ისედაც გაშინაურებულ ბალტიისპირელებს: რბილად რომ ვთქვათ – დაულაგებელ და აწეწილ საქართველოში თუ აწყობილი ტურისტული ინდუსტრიით ერთ-ერთ მოწინავე გერმანიაში?

აღარაფერს ვამბობთ მათ ისტორიულ ნათესაობასა და საერთო ფესვებზე, სისხლის ყივილი კი, დაგვეთანხმებით, კიდევ უფრო დაეხმარება ტრადიციულ ფავორიტს შინაურ გარემოსთან მაქსიმალურად მიმსგავსებულ ვითარებაში თავი ისე იგრძნოს, როგორც საკუთარ კედლებში.

◎ დინასტია

შვილის საღებიუჯო



ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ჩოგბურთელმა ბიორნ ბორგმა თავის მეგობრებთან ერთად განთქმულ ესპანურ კურორტ მარბელიაში, კლუბ „პუენტე-რომანოში“ როგორც ჩელენჯერი, ისე პროფესიული ტურნირი დააფუძნა, სადაც ATP-ის ეგიდით 5 აპრილს დებიუტი ექნება შვედი ვარსკვლავის უაილდ ქარდით დაშვებულ ვაჟს ლეო ბორგს.

შეგახსენებთ, რომ მისი სახელოვანი მამა იმ იშვიათ უნივერსალთა კატეგორიას განეკუთვნებოდა, ვინც მეტ-ნაკლები წარმატებით თამაშობდა როგორც ბალახზე, ისე თიხნარსა და ჰარდზე, რასაც სკანდინავიელის ტიტულებიც მოწმობს.

◎ სანქცია

ყინულზეც ძალაშია

21 მაისიდან 6 ივნისამდე რიგა ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს, სადაც ჯგუფურ რაუნდში რუსეთის ნაკრების მეტოქეები ჩეხეთი, შვედეთი, შვეიცარია, სლოვაკეთი, დანია, დიდი ბრიტანეთი და ბელარუსი იქნებიან, რომელსაც ლუკაშენკოს რეჟიმის გამო ფორუმის მიღების უფლება ჩამოერთვა.

ამ დღეებში გაირკვა, რომ ჩრდილოელები ლატვიაში საერთაშორისო ფედერაციის ჰიმნითა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დროშით ითამაშებენ, რადგან მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ ამ ქვეყნის სპორტსმენებს 2022 წლის 15 დეკემბრამდე სანქციები დაუწესა.

2021 IIHF ICE HOCKEY WORLD CHAMPIONSHIP LATVIA Riga

◎ თითქმის ნატურიდან

იყიდე ჭკუა და იცხოვრე ბედნიერად

გურამი, ჩემი კურსელი მეგობარი, მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი ტახტიდან ჩამოაგდო, აღარსად შემხვედრია. ჩემი არ იყოს, შებერებულია, მაგრამ მაინც ხალისიანად გამოიყურება.

— ჩამოვსხდეთ სადმე და გულიანად ვიჭუკჭუკოთ, — შევთავაზე მეგობარს, — ოღონდ პოლიტიკაზე არა და სხვა რაზეც გინდა ვისაუბროთ და ვიკამათოთ.

— პოლიტიკამ რაღა დაგიშავა?

— პოლიტიკამ არა, პოლიტიკოსებმა, მაგათმა გაუთავებელმა ყაყანმა და ურთიერთ ლანძღვა-ქიშპობამ გული ყელში ამომიყვანა.

გულზე გამახსენდა, ჩვენი საერთო ძმაკაცი ზურიკო ხომ გახსოვს?

— ჰო, როგორ არა, რა მოუვიდა?

— ამ ცოტა ხნის წინათ სირიაში გაემგზავრა.

— ისრაელთან საომრად?



— არა, კაცო, ომის თავი სადა აქვს, ხელოვნური, ანუ მექანიკური გული უნდა ჩამოიტანოს. ეგრე ამბობს, ჩამოვიტან და მე თვითონ ჩავიყენებო.

— თუ იცი, ძვირი ჯდება?

— არც ისე, ადგილზე თურმე 1000 დოლარადაც იყიდი, თანაც პირდაპირ აფთიაქში.

— უყურე შენ — გაიკვირვა გურამმა, — ჩვენთან რომ იყოს, მინისტრის რეზოლუცია დასჭირდებოდა.

— რა მინისტრი, რის მინისტრი, ხომ გითხარი, ჩამოიტანს და თვითონვე ჩაიყენებს.

— რო რამე შეეშალოს?

— რა უნდა შეეშალოს, თან ინსტრუქცია მოჰყვება. ეგ კი არა, შემიძლია, შენი სურვილის მიხედვით, გული ღვინის, არყის ან ლუდის სმის განხრით ჩაიმონტაჟო.

— პულსი რომ აგიჩქარდეს?

— პულსსაც თავადვე დაარეგულირებ. პერიოდულად გულის შეკეთებაც შეიძლება, იმ აფთიაქიდან თურმე სათადარიგო ნაწილებიც მოჰყვება.

— საინტერესოა, — მოიწონა გურამმა, — აი, მაგ გულთან ერთად მექანიკური ტვინიც რომ იყიდებოდეს?

— ამბობენ, ტვინიც იყიდებაო, ოღონდ სირიაში კი არა, ამას უკვე ამერიკაში ამზადებენ.

— უჰ, ეგენი ძალიან ძვირად გაყიდიან.

— არც ისე, მაგრამ, როგორც ამბობენ, ჭკუას ისინი პიროვნებაზე კი არა, მხოლოდ სახელისუფლებო და საპარლამენტო გუნდებზე ყიდიან.

— მართალი იქნება, აბა მივიხედ-მოვიხედოთ და უმალ დავრწმუნდებით, რომ ჩვენი პოლიტიკოსებისა და ჩინოვნიკების უმეტესობა ნაყიდი ჭკუით მუშაობს, თუმცა, ამის გამო ისინი უხერხულობას სულაც არ გრძნობენ, პირიქით, სიამაყითაც კი უძღვებიან საქვეყნო თუ სათავისო საქმეებს.

— ისე, კაცმა რომ თქვას, რა არის ამაში საუხერხულო და საძრახისი, ქონების ყიდვა კანონით დაშვებულია და თანამდებობას იყიდი, აგარაკს თუ ჭკუას, ამას ქვეყნისა და ხალხისთვის რა მნიშვნელობა აქვს. გაუკეთე ვიღაცას ჭკუის პრივატიზება და იცხოვრე ბედნიერად.

— თუ იცი, ამერიკის გარდა ჭკუა სხვაგან არსად იყიდება?

— როგორ არა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ამერიკას ეტანებიან, რადგან იქაური ჭკუა სხვებზე გაცილებით პრაგმატული და „მძიმეა“. ამ მხრივ ჩვენი დიდი მეზობლის ბაზარიც არ გამოიყურება ურიგოდ, მაგრამ ოკუპანტის სახელის გამო რუსული ჭკუის მაზანდა საკმაოდ იმიჯდაკარგულია.

— თუმცა რა იმიჯზეა ლაპარაკი. ნახეთ რამდენმა უტვინომ იყიდა ჭკუა, თანამდებობა, დეპუტატობა, რამდენმა მოიწყო სახელმწიფოს ხარჯზე პირადი კეთილდღეობა, მაგრამ თმიდან ღერიც ვერ გააგდებინეს. ამას ძალიან განიცდის ერთი ჩემი კოლეგა, მეტსახელად ბენიტო, რომელიც ყოველდღე იკურთხება: ხედავთ, ხალხო, მე თმას „პოსლეზე“ ვაკრეჭინებ, ეს შობელძაღლები კი, ჩემი ნახევარი ჭკუა რომ არ გააჩნიათ, ცხოვრება-ქონებით ზიმზიმებენო.

— კაცო, ეს ყველაფერი გასაგებია, — თქვა თავის ქექვით გურამმა, — მაგრამ ერთი რამ მაინც მაკვირვებს, თუ ეს ჩვენი კეთილისმყოფელი ქოცები და ნაცები ჭკუას მართლა ამერიკისგან ყიდულობენ, მაშინ ერთმანეთთან ბიბილო გასისხლიანებული მამლებივით რატომ არიან გაუთავებლად წაკიდებულნი?

— სწორედაც მაგიტომ ძიძგილაობენ დაუსრულებლად, ჩემო კარგო, რომ ორივენი ამერიკული ჭკუით მუშაობენ. რატომ გავიწყდებათ, რომ ამერიკა დემოკრატიის მექაა და იქ მხოლოდ განსხვავებულ აზრს აღმერთებენ. ისინი მუშტარს ჭკუას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიჰყიდიან, თუ მასში განსხვავებულ აზრს აღმოაჩენენ.

— თუ ასეა, მაშინ ოპოზიციაში გაერთიანებული სხვა პარტიებიც ნაცების ენით რატომ ჟღურტულობენ?

— მაგათ, ჩემო ბატონო, ჭკუის საყიდლად ფული არ ეყოთ და ამიტომ ნაცების მიერ ნაყიდი ჭკუით სარგებლობენ.

— ღმერთმა დაწყევლოს მაგათი თავიც და მაგათი ჭკუით სარგებლობაც, ქვეყანა განადგურებამდე მიიყვანეს, — ველარ დამალა აღშფოთება გურამმა, — სწორედ მაგათმა გაუთავებელმა დესტრუქციულმა ქმედებებმა და ხელისუფლებაში ძალადობრივი გზით დაბრუნების აკვიატებულმა სურვილმა დააქცია საქართველოს ეკონომიკა და დაამშია მოსახლეობა. ცუდ დღეში ჩაყარა თავად ჩვენი ამერიკელი და ევროპელი კეთილისმყოფელნიც, რომელთა დიდი მცდელობის მიუხედავად, საქართველოში ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაზავება ვერა და ვერ მოხერხდა.

— დაწყნარდი გურამ, დაწყნარდი, — შევეცადე მეგობრის დამშვიდებას, — როგორც ვიცი, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ევროსაბჭოში უკვე მუშაობენ საქართველოში გამოსაგზავნ რეკომენდაციებზე.

— მერე, როგორი იქნება ეგ რეკომენდაციები?

— როგორც ყოველთვის, ალბათ, ახლაც მთავრობისგან კანონის უზენაესობისა და ნიკა მელიას მელური უფლებების დაცვას მოითხოვენ. აბა, როგორ, ჩემო ბატონო, დემოკრატიული დასავლეთი ხალხის ინტერესების დაცვის საბაბით თავად დემოკრატიის ფუძემდებლურ პრინციპს ხომ არ უღალატებს?!



ოთარ ხუციშვილი

სანთელი

ჩვენო ძვირფასო მეგობარო ლევან, კარგად მოგეხსენება, რომ მშობელთა შვილებისგან ფიზიკური განშორება გარდაუვალია, ამდენად, ლოგიკას დაქვემდებარებული, მაგრამ ამავდროულად ცხოვრებისეული გამოწვევაცაა, ვინაიდან გვიწევს ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ჩვენი ყოფიერების პერიოდი მშობელთან ერთად და პერიოდი მის გარეშე, რასაც ულევი გულისტკივილით გადატანა სჭირდება.

სწორედ ამ რთულ ჟამს გვიგულე ჭეშმარიტ გულშემატკივრებთან შენი მეგობრები, რომლებიც გულწრფელად ვიზიარებთ თქვენი ოჯახისა და ნათესავ-ახლობლების მწუხარებას მშობელი მამის

ემინახმედ ქიძინიძის

გარდაცვალების გამო.

უფალმა ნათელში დაუმკვიდროს ადგილი ბატონ ემინახმედის ნეტარ სულს ზეციურ სამყოფელში.

მეგობრები

არჩილ (ნუკრი) მანჯგალაძე

იგი ნაღდი თბილისელი იყო, ქალაქის კოლორიტი, საოცარი იუმორითა და ცხოვრებისეული წესით განსხვავებული ძირძველი მთაწმინდელი, შესანიშნავი პუბლიცისტი, მწერალი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე... ნუკრი მანჯგალაძე წლების მანძილზე მუშაობდა „საქინფორმის“ დირექტორად, შემდეგ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ პოლიტიკური განყოფილების რედაქტორად, სტილისტ-მთარგმნელად. საოცარი მეგობრობა იცოდა, ცოცხალი ენციკლოპედია გახლდათ, მუდამ ხალისიანი მოსაუბრე და გამორჩეული ცოდნის პატრონი...

მშვიდობით, დაუვიწყარო კოლეგავ, შენი სახით თბილისქალაქს ერთ-ერთი ნამდვილი მოჰიკანი გამოაკლდა...

მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა.

მეგობრები „საქართველოს რესპუბლიკიდან“

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ აწგარდაცვლილი კოლეგის რუსლან რუსიას მეუღლეს ნინო ქორჩილავას დედის, უძვირფასესი ქალბატონის

მარგო კიკალიშვილი-ქორჩილავას

გარდაცვალების გამო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამაგდარი, კდემამოსილი ქალბატონის სული.

სტამბოლში საქართველოს მოქალაქე მოკლეს

გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტი სტამბოლის ერთ-ერთ უბანში მდებარე საცხოვრებელ სახლში მოხდა. ბინაში, სადაც საქართველოს მოქალაქე ქალი და პაკისტანელი კაცი ცხოვრობდნენ, ოთხი ადამიანი შეიჭრა.

საქართველოს მოქალაქე ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობების შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო კაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

თავდამსხმელები ინციდენტის ადგილიდან გაიქცნენ. ამჟამად პოლიცია თავდამსხმელების დასაკავებლად ოპერაციას ატარებს.

რა ვიცით აკვაკულტურის შესახებ?!

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში გარემოს ეროვნულმა სააგენტომ „აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების საკითხებსა და კანონიდან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებასთან დაკავშირებით ანგარიში წარადგინა, — ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა დეტალურად ისაუბრეს „აკვაკულტურის შესახებ“ კანონის მნიშვნელობაზე. ასევე, მის სარგებელზე, როგორც იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

ანგარიშში წარმოდგენილია შემუშავებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესახებ სრული ინფორმაცია, რაც საქართველოში აკვაკულტურის, მათ შორის მარიკულტურის წარმართვის მიზნით საზღვაო ზონის დადგენას მოიცავს, ასევე, მისი მართვისა და ეკოლოგიური მონიტორინგის პროცედურებს.

აკვაკულტურის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში წყლის ბუნებრივი რესურსების სწორ და ეფექტიან გამოყენებაზე. საქართველო გამოირჩევა ხელსაყრელი პირობებით აკვაკულტურის, მათ შორის, მარიკულტურის განვითარებისათვის.

 პოეტის ერთი ლექსი

ტგელ აგუსერისძე

**მზე მწვანე ბორცვებს დასდგომია ოქროს გვირგვინად,
ციდან კი არა, სამოთხიდან გამოპარული,
სხალთის ხეობა გადაშლილა ტბელის წიგნივით,
და ველ-მინდვრები მოხატულა ასომთავრულით.**

**გაღმა-გამოღმა მწვერვალები და უფსკრულები,
მთებს ფარასავით შეშფენია ოდა-სახლები,
მოერეკება მწყემსი ნახირს დაუსრულებრივ,
და ორღობეში ყეფენ ძაღლები.**

**თვლა აღარ არის თივისა და ჩალის ზვინების,
გაიშრიალებს სიოს ხმაზე მჭკნარი ნეკერი
და მზე, როდესაც ღრმა ხევებში ჩაესვენება,
მთები შავ პერანგს ჩაიცვამენ ღამის შეკერილს.**

**და მთვარის შუქზე გაიელვებს გედის ყელივით,
სვეტი ნათლისა, ჩემი რწმენა, სხალთის ტაძარი,
ხიხანის ციხით გადმოდგება დიდი სელიმი,
იმისი ფიქრი საქართველოს გულისძვრაც არი.**

**მივაპყრობ მზერას გამოქვაბულს დევის ნამუხლარს,
ვინ შეუსია ღელე-ღურდანს ხვადი ლომები?!
ხიხანის ციხის ქონგურები ქარებს გაუხრავთ,
დუმილს მოუცავს ნანგრევების ცივი ლოდები.**

შოთა ზოიძე
ბათუმი

საუკუნოვანი ბრიტანელის მხარდაჭერა

ყოფილი **პროფესიონალი მოცეკვავე დინკი ფლაუერსი ბრიტანეთის ეროვნული ჯანდაცვის სამსახურის თანამშრომლების დასახმარებლად საქველმოქმედო კამპანიას აწარმოებს.**

7 მაისს დინკი 100 წლის გახდება. თავის დაბადების დღემდე ფლაუერსი კვირაში სამჯერ ცეკვავს და ვარჯიშობს. მას იმედი აქვს, რომ ასე მისი ექიმების მხარდამჭერი კამპანია საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდება და მედპერსონალის დასახმარებლად მეტი თანხა შეგროვდება.

რამდენიმე დღის წინ ფლაუერსმა BBC-სთან ინტერვიუში განმარტა, რომ ასაკს მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, მუშაობას კი იმიტომ აგრძელებს, რომ თავისი საქმე უყვარს.

პრინცესა დიანას ტრენდი

პრინცესა **დიანას ვარცხნილობა, რომელიც 1980 წელს ჰქონდა, 2021 წელს ტრენდული გახდა.**

ესაა მრავალფენიანი ვარცხნილობა „ბობი“, რომლითაც ბრიტანეთის პრინცესა 80-იან წლებში საზოგადოების წინაშე ჩნდებოდა. **„დიანა 21-ე საუკუნის მოდის ბევრი მიმართულების კანონმდებელია“,** — ეს განცხადება ნიუ-იორკის სილამაზის სალონ SALON64-ის დამაარსებელს რიკი უოლტერს ეკუთვნის.

დიანას ტრენდი აიტაცეს მსახიობებმა ემა კორინმა და კრისტენ სტიუარტმა რომელთაც პრინცესას როლი ფილმში „გვირგვინი“ შეასრულეს.

ასევე ამ ვარცხნილობით სოციალურ ქსელებში ფოტოები გაავრცელეს კაია გერბერმა, ჰელი ბოლდუინმა და ემა მაკეიმ.

დედამიწის ორბიტას კოსმოსური ნაგვისგან ასუფთავებენ

იაპონურმა **კომპანია Astroscale-მა დედამიწის ორბიტის კოსმოსური ნაგვისგან გასაწმენდად ახალი სისტემა შეიმუშავა, რომელსაც მალე გამოცდის.**

გუშინ ბაიკონურის კოსმოდრომიდან აფრინდა რაკეტა, რომელზეც კომპანიის მოწყობილობაა მოთავსებული. 175-კილოგრამიან აპარატზე 17-კილოგრამიანი თანამგზავრია მიმაგრებული, რომლის ზედაპირზეც მაგნიტის ფილაა განთავსებული. კოსმოსში მოხვედრის შემდეგ, თანამგზავრი აპარატს გამოეყოფა, ის კი მაგნიტის მეშვეობით თანამგზავრის დედამიწის ორბიტიდან მოხსნას შეეცდება და პლანეტის მიმართულებით მისცემს ბიძგს. ამ პროცესის შედეგად თანამგზავრი დედამიწის ატმოსფეროში დაიწვება.

ტესტირება შემოდგომაზე დასრულდება და თუ პროექტი წარმატებული აღმოჩნდა, მომავალში ყველა თანამგზავრი მაგნიტის ფილით იქნება აღჭურვილი და მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ, მათი უტილიზაცია მარტივი იქნება.

ბოლო მონაცემებით, დედამიწის ორბიტაზე კოსმოსური ნაგვის წონა 9 ათას ტონას აჭარბებს. ეს „ნაგვის ღრუბელი“ ძველი თანამგზავრებისა და რაკეტების ნაწილებისგან შედგება. ნაგავი საფრთხეს უქმნის საერთაშორისო კოსმოსურ სადგურს და დედამიწაზე სხვადასხვა ტექნოლოგიის მუშაობას.

ლორენცო ბერნინის ნახატი აუქციონზე



იტალიელი **მხატვრის ჯოვანი ლორენცო ბერნინის უიშვიათესი ნახატი საფრანგეთის, კომიგენში გამართულ აუქციონზე რეკორდულ თანხად გაიყიდა.**

ბაროკოს სტილის ხელოვანის ტილო ამერიკელმა კოლექციონერმა მილიონ 940 ათას ევროდ შეიძინა. აღსანიშნავია, რომ აუქციონი იმ ქალაქში გაიმართა, სადაც ნახატი 6 თვის წინ აღმოაჩინეს.

დამოუკიდებლობის საუბილეოდ

დამოუკიდებლობის 200 წლის აღსანიშნავად საბერძნეთში რაფაელის შედევრის ასლი, გიგანტური გობელენი ჩაიტანეს.

1775 წელს შექმნილი შედევრის „ათენის სკოლის“ ასლი, საბერძნეთის საკანონმდებლო ორგანოს დერეფანს დღესასწაულის პერიოდში დაამშვენებს.

აღსანიშნავია, რომ ტილო 1879 წელს, საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, საფრანგეთის ეროვნული კრების რეზიდენციას ამშვენებს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა გობელენი საფრანგეთის გარეთ გაიტანეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ცირკში სპილოებმა იჩხუბეს

ყაზანის **ცირკში წარმოდგენის მსვლელობისას სპილოებმა იჩხუბეს. ინციდენტის ამსახველი ვიდეო Youtube-ზე გავრცელდა.**



მოულოდნელად გაგრესიულებულმა სპილომ მეორე სპილო არენიდან გადააგდო. მაყურებლებმა ტრიბუნის დროულად დატოვება შეძლეს. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 26 მარტს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3299; ევრო - 3.9636;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.6089;
100 რუბლი - 4.4696; თურქული ლირა - 0.4182;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9603;
1000 სომხური დრამი - 6.3139.

ამინდი 24 მარტისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +4, დღე +19
მთიანი რაიონები - ღამე +1, დღე +15
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5 დღე +13
მთიანი რაიონები - ღამე +2 დღე +12
თბილისი: ღამე +9, დღე +18

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge